

განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა
საქართველო

სარჩევი

ცხრილები და დიაგრამები	4
აკრონიმები	5
ენერჯის ერთეულები და კოეფიციენტები	6
1. განახლებადი ენერჯია საქართველოში	7
1.1 მოკლე მიმოხილვა	7
1.2 საკანონდებლო ბაზა	10
2. ენერჯის მოსალოდნელი საბოლოო მოხმარება	16
3. ეროვნული დარგობრივი სამიზნე მაჩვენებლები 2020-2030 წლებისათვის	18
3.1 ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები	18
3.2 ელექტროენერჯიაში, გათბობა-გაგრილებასა და ტრანსპორტში განახლებადი წყაროდან მიღებული ენერჯის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები და სავარაუდო ტრაექტორიები	19
4. ღონისძიებები	22
4.1 განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ღონისძიებების მიმოხილვა	22
4.2 მხარდაჭერის სქემები ელექტროენერჯიაში, გათბობა-გაგრილებასა და ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისათვის	35
4.3 ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მე-13, მე-14, მე-16 და მე-17-დან 21-ე მუხლების მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებები	36
4.3.1 ადმინისტრაციული პროცედურები და სივრცითი მოწყობა (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (1))	36
4.3.2 ტექნიკური სპეციფიკაციები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (2)) .	47
4.3.3 შენობები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (3))	48
4.3.4 ინფორმირების დებულებები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (1), 14 (2) და 14 (4))	50
4.3.5 მემონტაჟითა სერტიფიცირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (3))	51
4.3.6 ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (1) და მუხლი 16 (3)-დან (6)-ის ჩათვლით)	52
4.3.7 ელექტროენერჯეტიკული ქსელის ფუნქციონირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (2), მუხლი 16 (7) და (8))	58
4.3.8 ბიოგაზის ინტეგრირება ბუნებრივი გაზის ქსელში (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (7) და მუხლი 16 (9) და (10))	60
4.3.9 ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 16 (11))	60

4.3.10	ბიოსაწვავი და სხვა სახის ბიოსითხეები - მდგრადობის კრიტერიუმი და შესაბამისობის დამოწმება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 17-დან 21-ის ჩათვლით (11)).....	60
4.4	კონკრეტული ღონისძიებები ბიომასისგან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისათვის	62
4.5	წევრ-სახელმწიფოთა შორის სტატისტიკური მონაცემების გადაცემის დაგეგმილი გამოყენება და სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ან მესამე ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში დაგეგმილი მონაწილეობა	63
4.5.1	პროცედურული ასპექტები	64
4.5.2	განახლებადი ენერჯის სავარაუდო ჭარბი წარმოება მაჩვენებელ ტრაექტორიასთან შედარებით, რომელიც შესაძლოა გადაეცეს სხვა წევრ-სახელმწიფოებს	64
4.5.3	სავარაუდო პოტენციალი ერთობლივი პროექტებისთვის	64
4.5.4	განახლებად ენერჯებზე სავარაუდო მოთხოვნა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს შიდა წარმოების გარდა სხვა საშუალებით	64
5.	შეფასებები	65
5.1	განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების მოსალოდნელი მთლიანი წილი	65
5.2	ენერჯოეფექტურობისა და ენერჯის დამზოგველი ღონისძიებების მოსალოდნელი მთლიანი წილი	66
5.3	განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი	69

ცხრილები და დიაგრამები

ცხრილი 1: გათბობა-გაგრილების, ელექტროენერჯის, ტრანსპორტის სისტემებში მოსალოდნელი მთლიანი საბოლოო ენერჯო მოხმარება 2030 წლისთვის, ენერჯოეფექტურობის მოსალოდნელი შედეგებისა და ენერჯო დამზოგველი ღონისძიების გათვალისწინებით 2014-2030 წ.წ. (1000 ტ. ნ. ე.).....	16
ცხრილი 2: ეროვნულ დონეზე განსაზღვრული საბოლოო მიზანი 2014 და 2030 წლებისთვის მთლიან საბოლოო ენერჯო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერჯო წილთან მიმართებაში.....	18
ცხრილი 3: 2030 წლის ეროვნული განახლებადი ენერჯის სამიზნე მაჩვენებელი და სავარაუდო ტრაექტორიები გათბობა-გაგრილება, ელექტროენერჯისა და ტრანსპორტის სექტორებში (1000 ტ. ნ. ე.).....	19
ცხრილი 4ა: ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში თითოეულ სექტორისთვის განახლებადი ენერჯის წვლილის გამოთვლის ცხრილი (1000 ტ. ნ. ე.).....	20
ცხრილი 4ბ: ტრანსპორტში განახლებადი ენერჯის მოხმარების გამოთვლის ცხრილი (1000 ტ. ნ. ე.).....	21
ცხრილი 5: ყველა პოლიტიკური დოკუმენტისა და ღონისძიების მიმოხილვა	22
ცხრილი 6: განმცხადებლის ელექტროსადგურისათვის დადგენილი მოთხოვნები	48
ცხრილი 7: გადამცემი ქსელის პირველი ეტაპის მიერთების ვადები და მოსაკრებლები.....	54
ცხრილი 8: მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები თუკი მიერთების უჯრედი გადამცემი ქსელის ლიცენზიანტის ქვესადგურთანაა მოწყობილი.....	55
ცხრილი 9: მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები In-Out მიერთების სქემის შემთხვევაში.....	55
ცხრილი 10: საქართველოში განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებიდან მიღებული წვლილის შეფასება (დადგმული სიმძლავრე, მთლიანი ელექტროენერჯის გამომუშავება) 2020 წლის დასახული მიზნების მისაღწევად და ელექტროენერჯის სისტემაში განახლებადი ენერჯიდან წილის მაჩვენებლის შუალედური ტრაექტორია 2018-2020 წ.წ.	65

აკრონიმები

ეგწ	-	ენერჯის განახლებადი წყაროები
კომისია	-	საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
მლნ	-	მილიონი
სსე	-	სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ჰესი	-	ჰიდროელექტროსადგური
BAU	-	ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარება
CO	-	ნახშირჟანგი
CO ₂	-	ნახშირორჟანგი
COP21	-	კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენცია
cosφ	-	ნომინალური სიმძლავრის კოეფიციენტი
DCFTA	-	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე
GHG	-	სათბურის გაზი
INDC	-	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
ISO	-	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
LEDS	-	დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია
NEAP	-	გარემოსდაცვითი ეროვნული სამოქმედო გეგმა
NEEAP	-	ეესგ/ენერჯოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა
NO ₂	-	აზოტის დიოქსიდი
NREAP	-	გეესგ/განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა
SEAP	-	მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმა
UNFCCC	-	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

ენერჯის ერთეულები და კოეფიციენტები

kV	კვ/კილოვოლტი	
kWh	კვტ.სთ/კილოვატ საათი	
MWh	მგვტ.სთ/მეგავატ საათი	= 1,000 კილოვატ საათს
GWh	გვტ.სთ/გიგავატ საათი	= 1,000,000 კილოვატ საათს
TWh	ტვტ.სთ/ტერავატ საათი	= 1,000,000,000 კილოვატ საათს
PJ	პჯ/პეტა ჯოული	
ktoe	1000 ტ. ნ. ე/ათასი ტონა ნავთობის ექვივალენტი	
W	ვატი	
kW	კვტ/კილოვატი	= 1,000 ვატი
MW	მგვტ/მეგავატი	= 1,000,000 ვატი
Kg	კგ/კილოგრამი	
t	ტ/ტონა	= 1,000 კილოგრამი
m ²	მ ² /კვადრატული მეტრი	
m ³	მ ³ /კუბური მეტრი	
km	კმ/კილომეტრი	
Ha	ჰა/ჰექტარი	

ტონა ნავთობის ექვივალენტი ერთ მეგავატ საათზე: 0.085984523

ტონა ნავთობის ექვივალენტი ერთ გიგა ჯოულზე: 0.02388459

მეგავატ საათი ერთ გიგა ჯოულზე: 0.277777778

გიგაკალორია ერთ მეგავატ საათზე: 0.859845228

(საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს (IEA) ოფიციალური გარდაქმნის კოეფიციენტები:
წყარო <https://www.iea.org/statistics/resources/unitconverter/>)

1. განახლებადი ენერჯია საქართველოში

1.1 მოკლე მიმოხილვა

2014 წლის ივნისში ევროკავშირ-საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას¹, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა. ეს დოკუმენტი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმებასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირთან გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრირების პროცესს უყრის საფუძველს. 2016 წლის 14 ოქტომბერს კი საქართველომ ხელი მოაწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმს. „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანებით ნაკისრი ვალდებულება ადგილობრივ კანონმდებლობაში ევროკავშირის ენერგეტიკის სფეროში მოქმედი დირექტივებისა და რეგულაციების ასახვას გულისხმობს. ვალდებულების შესრულება შეუწყობს ხელს ენერგეტიკული ბაზრის ტრანსფორმაციას, ასევე პირდაპირ და ირიბად განახლებადი ენერჯიის განვითარებას.

„ენერგეტიკული გაერთიანების“ მინისტრთა საბჭოს 2016 წლის 14 ოქტომბრის ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, გადაწყდა „განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ 2009 წლის 23 აპრილის N2009/28/EC დირექტივის იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობაში, რაც, მათ შორის, გულისხმობს, რომ საქართველომ „მომზადოს და დაამტკიცოს განახლებადი ენერჯიის ეროვნული სამოქმედო გეგმა შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

„განახლებადი ენერჯიის წყაროებიდან ენერჯიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ N2009/28/EC დირექტივა ადგენს საერთო ჩარჩოს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის ხელშეწყობის მიზნით. ის აწესებს სავალდებულო ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი ენერჯიის საერთო წილისთვის ენერჯიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში და სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი ენერჯიის წილისთვის ტრანსპორტში.

განახლებადი ენერჯიის სამოქმედო გეგმის ამოცანებია:

1. განახლებადი ენერჯიის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს არსებული მდგომარეობის აღწერა, ევროკავშირის განახლებადი ენერჯიის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად.


2. სახელმწიფო პოლიტიკის და საინვესტიციო ღონისძიებების შეთავაზება, რაც საჭიროა 2030 წლის საქართველოს სამიზნე მაჩვენებლის - ენერჯიის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯიის 35%-იანი წილის მისაღწევად.

საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის პრიორიტეტები ეფუძნება ადგილობრივი განახლებადი ენერჯორესურსების ათვისებისა და რეგიონალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე

¹ https://eeas.europa.eu/delegations/georgia/9740/eugeorgia-association-agreement_en

ვაჭრობის პოტენციური შესაძლებლობების ანალიზს. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს ქვეყნის მიერ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით დასახულ მიზნებს, რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან/სტანდარტებთან ეტაპობრივ დაახლოებას. საქართველოს მთავრობა განახლებადი ენერჯის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობას განიხლავს, როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც გაზრდის ქვეყნის ენერგომომარაგების უსაფრთხოებას, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას, ენერგეტიკული სექტორის მდგრადობასა და გარემოს დაცვას.

საქართველოს 2018 წლის ენერგეტიკული ბალანსის² თანახმად, ქვეყანაში წარმოებულ ელექტროენერჯიაში განახლებადი ენერჯის წილი 92%-ია, ხოლო მთლიანი პირველადი ენერჯის მოწოდებაში - დაახლოებით 24%. მათ შორის, ჰიდროენერჯის წილი 17.7%-ია, ბიოსაწვავი (ძირითადად შემა) და ნარჩენები - 5.6%, გეოთერმული, მზე და სხვა - 0.6%.



დიაგრამა 1: მთლიანი პირველადი ენერჯის მიწოდება, 2018 წ.

აღსანიშნავია, რომ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის თანხმად, რომელიც 2019 წლის დეკემბერში იქნა მიღებული, 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის საქართველოს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებელი 35%-ს შეადგენს.

საქართველოს ქარის, მზის, გეოთერმული და განსაკუთრებით ჰიდრორესურსების მნიშვნელოვანი აუთვისებელი პოტენციალი გააჩნია. კერძოდ:

² <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/631/sakartvelos-energetikuli-balansi-2018>

- ჰიდროენერჯის პოტენციური ჯამური სამძლავრე შეფასებულია 15 000 მგვტ-ით, ხოლო წლიური გამომუშავების ჯამური პოტენციალი - 50 ტვტ.სთ-ით. ამ პოტენციალიდან ამჟამად გამოიყენება სიმძლავრის დაახლოებით 22% და წარმოების 18%;
- საქართველოში ქარის ენერჯის ჯამური წლიური პოტენციალი ქვეყანაში შეფასებულია 4 ტვტ.სთ-ით, ხოლო დადგმული სიმძლავრე - 1 500 მგვტ-ით. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს წარმატებით განხორციელდა ქარის ენერჯიაზე მომუშავე საპილოტე პროექტი - ექსპლუატაციაში შევიდა 20.7 მგვტ სიმძლავრის ქართლის ქარის ელექტროსადგური, საპროექტო საშუალო წლიური გამომუშავებით - 85 მლნ. კვტ.სთ.;
- საქართველოს ტერიტორიაზე გეოთერმული რესურსების საერთო პროგნოზული მარაგი წელიწადში დაახლოებით 250 მლნ მ³-ს შეადგენს. ქვეყნის გეოთერმული წყლების ტემპერატურა 30-110°C-ის ფარგლებში მერყეობს. დღეისათვის ცნობილი 250-ზე მეტი ბუნებრივი და ხელოვნურად გაზრდილი გამოსავლები 44 გეოთერმულ საბადოდ არის დაჯგუფებული, რომელთა 80%-ზე მეტი დასავლეთ საქართველოშია განლაგებული. საბადოებზე გეოთერმული წყლების სამრეწველო მარაგები (A და B კატეგორია) დაახლოებით 80 000 მ³-ს შეადგენს დღე-ღამეში;
- საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მზის ეფექტური გამოსხივება საკმაოდ ხანგრძლივია. ქვეყნის უმეტეს ნაწილში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა დაახლოებით 1 900 - 2 200 საათია. ამასთან, ეფექტური გამოსხივების განაწილება სეზონების მიხედვით არათანაბარია: ზამთარში 10-15%-ს, ხოლო ზაფხულში - 30-35%-ს შეადგენს. მზის წლიური ჯამური რადიაცია რეგიონების მიხედვით 1 300 - 2 500 კვტ.სთ/მ² დიაპაზონში მერყეობს. მზის ენერჯის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში წლიურად 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტურია;
- მერქნული ბიომასა საქართველოში ერთ-ერთ ძირითად ენერგეტიკულ რესურსს წარმოადგენს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს ტყის ფართობი შეადგენს 3 124.2 ათას ჰა-ს და დღეისათვის სრულად არის სახელმწიფო საკუთრებაში. ქვეყნის ტყეების 1 ჰა-ზე მერქნის საშუალო რაოდენობა (ტყის სიხშირის ფაქტორი) დაახლოებით 107 მ³-ია, მერქნის საერთო წლიური ნამატი კი დაახლოებით 3.6 მლნ მ³-ს შეადგენს. საქართველოს ტყეების 60%-ზე მეტი 25 გრადუსი და უფრო მეტი დაქანების ფერდობზეა, ხოლო 70%-ზე მეტი ზღვის დონიდან 1 000 მ-ზე ზემოთაა განლაგებული.

განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ეფექტურმა გამოყენებამ, შესაძლოა, წლიურად დამატებითი 20 ტვტ.სთ ენერჯის გამომუშავება უზრუნველყოს, რაც დაახლოებით 7 მლნ ტონა წიაღისეული საწვავის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული კი ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, შეამციროს სათბურის გაზების ემისიები ატმოსფეროში: კერძოდ, 9 მლნ ტონა CO₂; 5 000 ტონა CO და 44 000 ტონა NO₂. საქართველოს განახლებადი ენერგორესურსების

სრული გამოყენება, მნიშვნელოვანად წაადგება ქვეყანაში კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესს.³

1.2 საკანონდებლო ბაზა

2019 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტების მოთხოვნათა იმპლემენტაციას:

- ა) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის N2009/72/EC დირექტივა ელექტროენერჯის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და N2003/54/EC დირექტივის გაუქმების შესახებ;
- ბ) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის N714/2009 (EC) რეგულაცია ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების პირობებისა და N1228/2003 (EC) რეგულაციის გაუქმების შესახებ;
- გ) 2006 წლის 18 იანვრის N2005/89/EC დირექტივა ელექტროენერჯის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ;
- დ) 2009 წლის 13 ივლისის N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და N2003/55/EC დირექტივის გაუქმების შესახებ;
- ე) 2009 წლის 13 ივლისის N715/2009 (EC) რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელზე დაშვების პირობებისა და N1775/2005 (EC) რეგულაციის გაუქმების შესახებ;
- ვ) 2004 წლის 26 აპრილის N2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

აღნიშნული კანონი მიზნად ისახავს:

- საქართველოში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზით ვაჭრობის სფეროში თავისუფალი და კონკურენტული ურთიერთობების ხელშეწყობას და ბაზრების გახსნას, ამავე დროს მიწოდების უსაფრთხოების მოთხოვნათა სათანადოდ დაცვის გათვალისწინებით;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის უფლებამოსილების გაზრდას, მათ შორის ბაზრის წესებისა და გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმების დამტკიცების უფლებამოსილების მინიჭებას;
- გადამცემი ან გამანაწილებელი საქმიანობის განცალკევებას წარმოებისა და მიწოდების საქმიანობისაგან. ამ მიზნით საქართველოში არსებული გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატი კომპანიების რეორგანიზაცია;
- საქართველოს მთავრობის მიერ ბაზრის კონცეფციის მოდელის დამტკიცებას, რომლის მიხედვით მოხდება ბაზრის ოპერატორების ლიცენზირება და ბაზრის წესების დამტკიცება. ასევე ბაზრის ეტაპობრივ გახსნას მაქსიმალური მოქნილობით, საწყის ეტაპზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენების ასაცილებლად;

3

http://www.moesd.gov.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo_gagma/ganakhlebadi_energiis_erovnuli_samoqmedo_gagma_2020.pdf

- ბაზარზე ტრეიდერისა და მიწოდებლის სტატუსების შექმნას;
- დროებით, ბაზრის სრულ გახსნამდე, მომხმარებლების გარკვეული კატეგორიების დაცვის მიზნით, უნივერსალური მომსახურების მიწოდებლის განსაზღვრას;
- კვალიფიციური მომხმარებლის სტატუსის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობასა და ა.შ.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 2020 წლის აპრილში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა **ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია**, რომელიც აყალიბებს საქართველოში ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს, რამაც უნდა უზრუნველყოს:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და მომხმარებლისათვის თავისუფალი არჩევანის (მათ შორის განახლებადი ენერჯის შესყიდვის) შესაძლებლობა, როგორც საბითუმო, ისე საცალო დონეზე;
- ელექტროენერჯის ბაზრებზე ლიკვიდურობასა და კონკურენტული ფასის ფორმირება, ასევე, ბაზრის ეფექტიანი და მდგრადი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური მექანიზმების დანერგვას;
- „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მხარდაჭერის მექანიზმების (სქემების) დანერგვის ხელშეწყობას;

2020 წლის მაისში დამტკიცდა საქართველოს კანონი „**ენერგოეფექტურობის შესახებ**“, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის N2012/27/EU დირექტივის შესაბამისად. კანონი მიზნად ისახავს:

- ა) ენერჯის დაზოგვის, ენერჯის მიწოდების უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდას, აგრეთვე ენერგეტიკულ ბაზარზე ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ხელშემშლელი დაბრკოლებების მაქსიმალურად აღმოფხვრას;
- ბ) ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრას „ენერგეტიკული გაერთიანების“ დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით დადგენილი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად;
- გ) ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შემუშავების პროცედურის ჩამოყალიბებას;
- დ) ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის მიღების პროცედურის ჩამოყალიბებას;
- ე) ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემის ან/და პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების ჩამოყალიბებას ენერჯის დაზოგვის უზრუნველსაყოფად;
- ვ) ქვეყანაში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის, მისი კოორდინაციის, კონტროლის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელებას.

2020 წლის მისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს კანონი „**შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ**“, რომელიც შემუშავებულია შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ ევროკავშირის N2010/31/EU დირექტივის შესაბამისად და რომლის მიზანია ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა, შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება შენობების გარე კლიმატური და ადგილობრივი პირობების, შიდა კლიმატურ პირობებზე მოთხოვნილებისა და ხარჯეფექტურობის გათვალისწინებით.

2019 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „**განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ**“, რომელიც შემუშავებულია „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მიღების წახალისების“ შესახებ ევროკომისიის N2009/28/EC დირექტივის შესაბამისად. კანონი ქმნის განახლებადი წყაროებიდან ენერჯის გამომუშავებისა და ამ ენერჯის გამოყენების ხელშემწყობ მარეგულირებელ ჩარჩოს და ადგენს სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლებს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საერთო წილისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში. კანონის მიზანია:

ა) შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები;

ბ) დაადგინოს ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ტრანსპორტის მიერ ენერჯის მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საერთო წილის სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები.

იგი ადგენს მხარდაჭერის სქემებთან, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებს შორის სტატისტიკურ ტრანსფერებთან, საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეების ერთობლივ პროექტებთან, საქართველოსა და მესამე ქვეყნების ერთობლივ პროექტებთან, წარმოშობის სერტიფიკატებთან, ადმინისტრაციულ პროცედურებთან, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ტრენინგებთან, განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯისა და ბიოგაზის ელექტროენერგეტიკულ ქსელსა და ბუნებრივი გაზის ქსელთან დაშვებასთან დაკავშირებულ ნორმებს, აგრეთვე ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 2019 წელს დამტკიცდა **განახლებადი ენერჯის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (2019-2020)**, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა **საქართველოს ენერგოეფექტურობის 2019-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა**.

2016 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დანერგა განახლებადი ენერგეტიკის მხარდაჭერის ერთ-ერთი მექანიზმი, „**ნეტო აღრიცხვის**“ რეგულაცია, რომელიც გულისხმობს მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელში ჩართვას. რეგულაცია ეხება ელექტროგამანაწილებელ ქსელზე მიერთებულ მცირე სიმძლავრის განახლებადი ენერჯის წყაროებს და მიზნად ისახავს განახლებადი ენერჯის განვითარებას შინამეურნეობებსა და მცირე საწარმოებში. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ქსელში ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდათ 100

კვტ-მდე დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურებს, თუმცა 2020 წლის ივლისიდან ეს ზღვარი 500 კვტ-მდე გაიზარდა.

2015 წელს ძალაში შევიდა „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, რომლის უმთავრესი ამოცანაა ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული რესურსების მაქსიმალური ათვისებისა და იმპორტირებული ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის ხარჯზე მრეწველობის დარგებისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური სფეროს ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება, სექტორის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მიღწევა, უსაფრთხოების (ტექნიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები) უზრუნველყოფა.

2015 წელს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ დაამტკიცა და მიიღო გადამცემი სისტემის ოპერატორის (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“) მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015-2025“ - ქვეყნის გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის გაძლიერების დროში გაწერილი პროგრამა, რომელიც წარმოადგენს პასუხს არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მომავალი გამოწვევების საპასუხოდ და შესაძლებლობების განსახორციელებლად. ის ასახავს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ადეკვატურ განვითარებას, მომავლის დამაჯერებელი სცენარების შესაბამისად. დოკუმენტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ინტეგრირება ქსელში, რომელიც ქარისა და მზის საშუალებით ელექტროენერჯის გამომუშავების შემთხვევაში მთავარ გამოწვევად რჩება. აღნიშნულ გეგმაში ცვლილებები შედის ყოველწლიურად და დღეის მდგომარეობით მოიცავს 2020-2030 წწ პერიოდს.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება N40 არეგულირებს ქარის ელექტროსადგურებისა და სხვა განახლებად ენერგორესურსებზე მომუშავე სადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების წესებს. მიმდინარე რეფორმების შედეგად აღნიშნული ბრძანება შეიცვალა საქართველოს მთავრობის N515 დადგენილებით „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“ და არეგულირებს ყველა ტიპის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების წესს, რომელიც არ წარმოადგენს კერძო და საჯარო თანამშრომლობის პროექტს.

საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 ივლისს, ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს, საჯარო და კერძო

თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N426 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 17 აგვისტოს, შემუშავებულია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად და მისი მიზანია საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის განსაზღვრა, აღნიშნული დადგენილება ენერგეტიკის სექტორში არეგულირებს იმ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებს და წარმოადგენს კონცესიას, კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად.

2016 წლის ივნისში მიღებულ იქნა **ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2017-2020 წლებისთვის)**, რომლის მთავარი მიზნებია:

- სამოქმედო გეგმის შემუშავება ელექტროენერჯის წარმოებისთვის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

შემუშავდა **საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2012-2016**, სადაც ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და განსაზღვრულია სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პროგრამა გარემოსდაცვითი 11 თემატური სფეროსთვის ადგენს კლიმატის ცვლილების ჩათვლით გრძელვადიან (20 წლიან) და მოკლევადიან (5 წლიან) მიზნებს. კლიმატის ცვლილების შერბილება მოკლევადიან მიზანს განეკუთვნება - მიზანი 3: ხელსაყრელი პირობების შექმნა სათბურის გაზების ემისიების შემცირებისთვის. ამ მიმართულებით შემოთავაზებული ღონისძიებები ეხმიანება ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ეროვნულ სამოქმედო გეგმებს. 1996 წლის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მოითხოვს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის რეგულარულ, ხუთწლიანი პერიოდით შემუშავებასა და განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ამჟამად შემუშავებულია **საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021**.

შემუშავებულია **საქართველოს მყარი ბიოსაწვავის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია** (სამუშაო ვერსია) და მთავრობის დამტკიცებასა და სამოქმედოდ მიღებას საჭიროებს. სტრატეგიის მთავარი მიზანია საქართველოში მყარი ბიომასის ნარჩენების ენერგეტიკული გამოყენების ხელშეწყობა, თანამედროვე მყარი ბიოსაწვავის წარმოების და გამოყენების ხელშეწყობის საშუალებით. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

- სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა წყაროებიდან მყარი ბიომასის ნარჩენების მდგრადი მართვა და მიწოდების უზრუნველყოფა;
- მყარი ბიოსაწვავის წარმოებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბიზნესს პროცესების ხელშეწყობა;
- ბიომასის ნარჩენებიდან მიღებულ ენერჯიაზე მოთხოვნის და მდგრადი წარმოების მხარდაჭერა.

საქართველომ ასევე შეიმუშავა **ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილის (INDC) დოკუმენტი**, რომელიც 2015 წლის ბოლოს, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მხარეთა კონფერენციის COP21-ის ფარგლებში წარედგინა საზოგადოებას. საქართველო გეგმავს 35%-ით შეამციროს ემისიები 2030 წლისთვის, ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენარით გათვალისწინებულ მონაცემთან შედარებით. საერთაშორისო მხარდაჭერის შემთხვევაში, საქართველო იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის 50-57%-ით შეამციროს ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების ჯამური მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით, იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო გაჰყვება გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C ან 1.5°C -მდე შეზღუდვის სცენარს, შესაბამისი თანმიმდევრობით.

საქართველომ ასევე წარადგინა სატყეო მეურნეობის დოკუმენტი, რომელიც ეროვნული დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის დანართსა და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დოკუმენტში ასახულია სატყეო მეურნეობის სექტორში საქართველოს მთავრობის მიერ კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ქმედებებისთვის განსაზღვრული სამი ვარიანტი: (ა) მდგრადი სატყეო მეურნეობის მართვის პრაქტიკის დანერგვა; (ბ) ტყის მასივების გაშენება/აღდგენა და ბუნებრივი რეგენერაციის პროცესის ხელშეწყობა; და (გ) დაცული ტერიტორიების არეალის გაფართოება.

2. ენერჯის მოსალოდნელი საბოლოო მოხმარება

ცხრილის სახით წარმოდგენილია მთლიანი საბოლოო ენერჯომოხმარების პროგნოზი 2020-2030 წლებისათვის, გათბობა-გაგრილების, ელექტროენერჯისა და ტრანსპორტის სექტორებში. შეფასებები ითვალისწინებს ამ პერიოდში განსახორციელებლად დაგეგმილი ენერჯოეფექტურობისა და ენერჯის დამზოგველი ღონისძიებების მოსალოდნელ ეფექტებს.

ვინაიდან საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ოფიციალურად მომზადებული ენერჯეტიკული ბალანსი 2014 წლით თარიღდება, შესაბამისად, ეს წელი მიჩნეულ იქნა საბაზისოდ წინამდებარე დოკუმენტის სამიზნე მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

ცხრილი 1: გათბობა-გაგრილების, ელექტროენერჯის, ტრანსპორტის სისტემებში მოსალოდნელი მთლიანი საბოლოო ენერჯო მოხმარება 2030 წლისთვის, ენერჯოეფექტურობის მოსალოდნელი შედეგებისა და ენერჯო დამზოგველი ღონისძიების გათვალისწინებით 2014-2030 წ.წ. (1000 ტ. ნ. ე.)

		2014			2020			2021			2022			2023			2024		
		საბაზ. წ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.			
1	გათბობა-გაგრილება (1)	1 854	2 139	2 031	2 228	2 105	2 318	2 174	2 416	2 249	2 515	-							
2	ელექტროენერჯია (2)	893	998	959	1 034	984	1 070	1 011	1 106	1 038	1 142	1 065							
3	ტრანსპორტი მუხლი 3(4) შესაბამისად (3)	1 426	1 754	1 555	1 853	1 609	1 957	1 679	2 066	1 773	2 182	1 873							
4	მთლიანი საბოლოო ენერჯო მოხმარება (4)	4 173	4 890	4 545	5 115	4 698	5 345	4 864	5 589	5 060	5 839	2 938							

		2025		2026		2027		2028		2029		2030	
		საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.	საბაზ. სცენ.	ეე ღონ.
1	გათბობა-გაგრილება (1)	2 605	2 387	2 696	2 451	2 787	2 514	2 878	2 557	2 974	2 628	3 071	2 698
2	ელექტროენერგია (2)	1 182	1 094	1 221	1 123	1 262	1 154	1 303	1 184	1 344	1 216	1 386	1 256
3	ტრანსპორტი მუხლი 3(4) შესაბამისად (3)	2 254	1 929	2 327	1 988	2 403	2 050	2 481	2 113	2 562	2 179	2 646	2 246
4	მთლიანი საბოლოო ენერგომოხმარება (4)	6 040	5 410	6 244	5 562	6 452	5 718	6 662	5 855	6 881	6 023	7 102	6 200

(1) წარმოდგენილია საბოლოო ენერჯის მოხმარება სამივე სექტორში. არ ითვალისწინებს ტრანსპორტის სექტორის მიერ მოხმარებულ ელექტროენერჯის, ასევე ელექტრო ან თბოენერჯისას თბური ენერჯის საკუთარ მოხმარებას. თბურ სადგურებსა და თბოქსელებში თბოდანაკარგები (პუნქტი „2 სადგურის მიერ მოხმარება“ და „პუნქტი 11. გადაცემისა და განაწილების დროს წარმოქმნილი დანაკარგები“) ევროკომისიის N1099/2008 რეგულაცია (გვ. 23-24).

(2) ელექტროენერჯის მთლიანი მოხმარება შედგება საკუთარ წარმოებისა და იმპორტსგან, ექსპორტის გამოკლებით.

(3) ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მუხლი 3(4)ა განსაზღვრავს ტრანსპორტის სექტორის მოხმარებას. ამისთვის განახლებადი ელექტროენერჯის მოცულობა საგზაო ტრანსპორტში უნდა გამრავლდეს კოეფიციენტზე 2.5, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მუხლი 3(4)გ-ით.

(4) ევროკომისიის N2009/28 დირექტივის მუხლი (2) (f)-ი ს შესაბამისად, იგი წარმოადგენს ენერჯის საბოლოო მოხმარებას დამატებული ქსელურ დანაკარგები და ელექტრო და თბოსადგურების მიერ სითბოსა და ელექტროენერჯის საკუთარი მოხმარება (შენიშვნა: არ ითვალისწინებს მაკუმულირებელ წყალსაცავების, ან ელექტროენერჯაზე მომუშავე ბოილერებისა და ცენტრალური რაიონული გათბობის სადგურების თბური ტუმბოების მიერ ელექტროენერჯის მოხმარებას).

3. ეროვნული დარგობრივი სამიზნე მაჩვენებლები 2020-2030 წლებისათვის

3.1 ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები

ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის საქართველოს ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები 2030 წლისთვის 35%-ს შეადგენს.

მოცემული ცხრილი ასახავს 2014 და 2030 წლებში მთლიან საბოლოო ენერჯომოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ სამიზნე მაჩვენებელს.

ცხრილი 2: ეროვნულ დონეზე განსაზღვრული საბოლოო მიზანი 2014 და 2030 წლებისთვის მთლიან საბოლოო ენერჯო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერჯო წილთან მიმართებაში

(ა) მთლიან საბოლოო ენერჯო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი 2014 წელს (S_{2014} , %)	2014	27.9%
(ბ) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის სამიზნე მაჩვენებელი მთლიან საბოლოო ენერჯომოხმარებაში 2030 წლისთვის (S_{2030} , %)	2030	35.0%
(გ) მოსალოდნელი მთლიანი ენერჯომოხმარება 2030 წლისთვის (1000 ტ. ნ. ე.)	2030	6 200
(დ) 2030 წლის სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისი განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მოსალოდნელი რაოდენობა (დათვლილი, როგორც (ბ) x (გ)) (1000 ტ. ნ. ე.)	2030	2 170

3.2 ელექტროენერგიაში, გათბობა-გაგრილება და ტრანსპორტში განახლებადი წყაროდან მიღებული ენერჯის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლები და სავარაუდო ტრაექტორიები

ცხრილი 3: 2030 წლის ეროვნული განახლებადი ენერჯის სამიზნე მაჩვენებელი და სავარაუდო ტრაექტორიები გათბობა-გაგრილება, ელექტროენერჯისა და ტრანსპორტის სექტორებში (1000 ტ. ნ. ე.)

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
ეგწ გათბობა-გაგრილებაში	599.21	644.14	665.29	700.58	783.29	763.14	783.68	831.64	845.86	919.69	944.15
ეგწ ელექტროენერგიაში	282.89	301.22	309.23	323.37	331.75	349.92	359.24	381.74	391.62	425.64	439.53
ეგწ ტრანსპორტში	458.69	492.34	513.79	552.38	583.29	616.87	635.56	677.88	698.93	762.55	786.17
მთლიანი ეგწ (1)	29.5%	30.6%	30.6%	31.2%	31.2%	32.0%	32.0%	33.1%	33.1%	35.0%	35.0%

(1) „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ საქართველოს კანონის I დანართის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საორიენტაციო მაჩვენებელი უნდა შედგებოდეს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის შემდეგი წილებისგან:

S2019 + 0.20 (S2030 – S2019), როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2021-2022);

S2019 + 0.30 (S2030 – S2019), როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2023-2024);

S2019 + 0.45 (S2030 – S2019), როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2025-2026);

S2019 + 0.65 (S2030 – S2019), როგორც საშუალო მაჩვენებელი 2-წლიანი პერიოდისთვის (2027-2028),

სადაც, ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი, 2019 (S2019) არის 29.5%, ხოლო ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები, 2030 (S2030) – 35%.

ცხრილი 4ა: ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში თითოეულ სექტორისთვის განახლებადი ენერჯის წვლილის გამოთვლის ცხრილი (1000 ტ. ნ. ე.)

წელი	2014	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
ა) ეგწ-დან სავარაუდო საბოლოო მოხმარება გათბობა-გაგრილებისთვის	479.9	599.2	644.1	665.3	700.6	783.3	763.1	783.7	831.6	845.9	919.7	944.1
ბ) ეგწ-დან სავარაუდო საბოლოო მოხმარება ელექტროენერჯისთვის	647.9	282.9	301.2	309.2	323.4	331.8	349.9	359.2	381.7	391.6	425.6	439.5
გ) ეგწ-დან სავარაუდო საბოლოო მოხმარება ტრანსპორტისთვის	18.4	458.7	492.3	513.8	552.4	583.3	616.9	635.6	677.9	698.9	762.5	786.2
დ) ეგწ მთლიანი მოხმარება (1)	1 146.3	1 340.8	1 437.7	1 488.3	1 576.3	1 698.3	1 729.9	1 778.5	1 891.3	1 936.4	2 107.9	2 169.9
ე) ეგწ-ის სავარაუდო გადაცემა სხვა წვერი სახელმწიფოებისთვის	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვ) ეგწ-ის სავარაუდო მიღება სხვა წვერი სახელმწიფოებიდან და 3-ე ქვეყნებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზ) სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისი ეგწ მოსალოდნელი მოხმარება (დ) - (ე) + (ვ)	1 146.3	1 340.8	1 437.7	1 488.3	1 576.3	1 698.3	1 729.9	1 778.5	1 891.3	1 936.4	2 107.9	2 169.9

(1) ევროკომისიის N2009/28 დირექტივის 5(1) მუხლის თანახმად, განახლებადი ენერჯიდან მიღებული გაზის, ელექტროენერჯისა და წყალბადის ორმაგი აღრიცხვა დაუშვებელია და მხოლოდ ერთ სექტორში უნდა იყოს გათვალისწინებული.

ცხრილი 4ბ: ტრანსპორტში განახლებადი ენერჯის მოხმარების გამოთვლის ცხრილი (1000 ტ. ნ. ე.)

წელი	2014	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029	2030
(თ) ეგწ-ის სავარაუდო მოხმარება ტრანსპორტის სექტორში (1)	28	38	58	76	96	117	138	160	183	218	243	268
(ი) ეგწ-ის სავარაუდო მოხმარება საგზაო ტრანსპორტში (2)	-	2	7	12	17	23	28	34	40	49	56	63
(კ) ნარჩენებიდან, ტრანსპორტის სექტორში არასასურსათო ცელულოზის და ლინგო ცელულოზისგან გამოყენებული მასალებისგან ბიოსაწვავის სავარაუდო მოხმარება (2)	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
(ლ) ეგწ-ის სავარაუდო წვლილი ტრანსპორტის სექტორში ეგწ-ტრანსპორტის სამიზნედან: (თ) + (2.5 - 1) x (ი) + (2 - 1) x (კ))	28	42	69	94	121	151	180	211	244	292	327	363

(1) მოიცავს ენერჯის ყველა განახლებად წყაროს ტრანსპორტის სექტორისთვის, ელექტროენერჯია, წყალბადი, განახლებადი ენერჯეტიკული წყაროებიდან მიღებული გაზი, ბიოსაწვავის გამოკლებით რომელიც მდგრადობის კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს (იხილეთ: მუხლი 5 (1) ბოლო ქვე-პარაგრაფი). მიუთითეთ ფაქტობრივი მნიშვნელობები გამრავლების ფაქტორების გამოყენების გარეშე

(2) მიუთითეთ ფაქტობრივი მნიშვნელობები გამრავლების ფაქტორების გამოყენების გარეშე

4. ღონისძიებები

4.1 განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ღონისძიებების მიმოხილვა

საქართველოს მთავრობამ განახლებადი ენერჯის პოტენციალის ათვისების წამახალისებელი რიგი საკანონმდებლო ჩარჩო-დოკუმენტები შეიმუშავა. წარმოდგენილი ცხრილი იმ არსებული მარეგულირებელი დოკუმენტებს გვთავაზობს, რომლებიც ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის განვითარებას ქვეყანაში. ამავე ცხრილის ბოლოს განახლებადი ენერჯის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი მიმდინარე და დამატებითი მექანიზმებია აღწერილი.

ცხრილი 5: ყველა პოლიტიკური დოკუმენტისა და ღონისძიების მიმოხილვა

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ეროვნული კანონმდებლობა					
საქართველოს კანონი ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ ⁴	მარეგულირებელი	კანონი ადგენს ელექტროენერჯეტიკის სექტორში წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის და ბუნებრივი გაზის სექტორში გადაცემის, განაწილების, მიწოდების, შენახვისა და ვაჭრობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს გამართული, გამჭვირვალე და კონკურენტული ელექტროენერჯეტიკის და ბუნებრივი გაზის ბაზრების შექმნის, გახსნის, განვითარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით	ინვესტორები, მომხმარებლები	მოქმედი	კანონი მიღებულია 2019 წლის 20 დეკემბერს და 2019 წლის 27 დეკემბერს
საქართველოს კანონი ენერჯოეფექტურობის შესახებ ⁵	მარეგულირებელი	საქართველოს მიერ ევროკავშირის 2012/27/EU დირექტივის განხორციელება, ენერჯეტიკული გაერთიანების შეთანხმებით	ენერჯოეფექტურობის ხელშეწყობა	მოქმედი	კანონი მიღებულია 2020 წლის 21

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747785>

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
		აღებული ვალდებულებების, ისევე როგორც ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმაში (NEEAP) დასახული სამიზნე მაჩვენებლების შესრულებაში დაეხმარება			მაისს და გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს
საქართველოს კანონი განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ ⁶	მარეგულირებელი	შექმნას განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობის, წახალისებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. ასევე, დაადგინოს ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებასა და ენერჯის ტრანსპორტის მიერ მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის საერთო წილის სავალდებულო ეროვნული საერთო სამიზნე მაჩვენებლები.	განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის ხელშეწყობა, წახალისება და გამოყენება	მოქმედი	კანონი მიღებულ იქნა 2019 წლის 20 დეკემბერს და გამოქვეყნდა 2019 წლის 26 დეკემბერს
საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ ⁷	მარეგულირებელი	გარემოსდაცვითი პრინციპებისა და მდგრადი განვითარების გათვალისწინებით ბუნებრივი რესურსების გამოყენება	გარემოს დაცვა	მოქმედი	1996 წლის 10 დეკემბერი
საქართველოს ტყის კოდექსი ⁸	მარეგულირებელი	საქართველოს სატყეო ფონდის რესურსების მოვლის, დაცვისა და აღდგენის წესები	ბიომასის წარმოება	მოქმედი	1999 წლის 22 ივნისი ახალი კოდექსის დამტკიცებული ვერსია გამოქვეყნე

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=0>

⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=27>

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16228?publication=29>

ღონისძიების დასახელება და წყარო	ღონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ღონისძიების დაწყებ/დასრულების თარიღი
					ბულია 2020 წლის 28 მაისს, რომელიც ეტაპობრივად შევა ძალაში 2021 წლის 1-ელი იანვრიდან ⁹
კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი ¹⁰	მარეგულირებელი	ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია და მისი ხელახალი გამოყენების გაზრდა და ამასთან ნარჩენების დამუშავება გარემოსდაცვითი დამზოგველი მეთოდების შესაბამისად	ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოება	მოქმედი	კანონი მიღებულ იქნა 2014 წლის 26 დეკემბერს და გამოქვეყნდა 2015 წლის 12 იანვარს
საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ ¹¹	მარეგულირებელი	აწესრიგებს მშენებლობისა და გარემოზე ზემოქმედების გაცემის ნებართვის გაცემას	განახლებადი ენერჯის პროექტის შემუშავება	მოქმედი	კანონი მიღებულ იქნა 2005 წლის 24 ივნისს და გამოქვეყნდა 2005 წლის 18 ივლისს
საქართველოს კანონი	მარეგულირებელი	ხელს უწყობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვას	განახლებადი ენერჯის	მოქმედი	კანონი მიღებულ

⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=0#DOCUMENT:1;>

¹⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=9>

¹¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=86>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ¹²		შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისგან და მათ რაციონალურ გამოყენებას	პროექტის შემუშავება		იქნა 2017 წლის 1-ელ ივნისს და გამოქვეყნდა 2017 წლის 21 ივნისი
საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ ¹³	მარეგულირებელი	ენერგოეფექტურობის დაახლოება ევროკავშირის სამშენებლო დირექტივასთან. ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა და შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება შენობების გარე კლიმატური და ადგილობრივი პირობების, შიდა კლიმატურ პირობებზე მოთხოვნილებისა და ხარჯეფექტურობის გათვალისწინებით	შენობებში განახლებადი ენერჯის გამოყენება	მოქმედი	კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 21 მაისს და გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს
სტრატეგიები და გეგმები					
საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები	მარეგულირებელი	მიზანი-გრძელვადიანი ყოვლისმომცველი სახელმწიფო ხედვის შემუშავება, რომელიც შემდომ, 2030 წლისთვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი იქნება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი საქართველოს განახლებადი ენერჯის რესურსების გამოყენებაზე გაკეთდება	ენერგეტიკული პოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები		2015 წლიდან მიმდინარე

¹² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=4>

¹³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873932?publication=0>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2020-2030 ¹⁴	მარეგულირებელი	ეროვნული გადამცემი სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, არსებული პრობლემების განხილვა, სამომავლო გამოწვევების ანალიზი და ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ქსელში განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ინტეგრირება	ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2020-2030 წ.წ.
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 ¹⁵	მარეგულირებელი	ბუნებრივი რესურსების გამოყენება, გარემოს უსაფრთხოების და მდგრადობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2014-2020 წ.წ.
საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEEAP) ¹⁶		ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაცია და შემცირება ბიზნესის ტრადიციული გზით განვითარების (BAU) სცენართან შედარებით. სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს საქართველოს რიგი სტრატეგიული მიზნების განხორციელებას, მათ შორისაა: <ul style="list-style-type: none"> ენერჯის დაზოგვის მიზნების განსაზღვრა 2019-2020 წლებისა და შემდგომი პერიოდისთვის; საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და 	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები		2019-2020 წ.წ.

¹⁴ http://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2020-2030_GEO.pdf

¹⁵ http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/social-economic_development_strategy_of_georgia_georgia_2020.pdf

¹⁶

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo_gagma/2019_2020_clis_energoefekturobis_samoqmedo_gagma.pdf

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
		<p>საზოგადოების ინფორმირებულობა ქვეყანაში ენერგოეფექტურობის პრიორიტეტულობისა და მისი განვითარების გეგმების შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> • გზამკვლევის ჩამოყალიბება პრიორიტეტული ღონისძიებების იმპლემენტაციისთვის; • ევროკავშირის ენერგოეფექტურობის დირექტივის (EED - 2012/27/EU) იმპლემენტაციის გეგმების შესახებ ანგარიშგება, რაც სავალდებულოა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების შეთანხმებით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით 			
ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა	მარეგულირებელი	განახლებადი და ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროებიდან ელექტროენერჯის გამოყენებისთვის სამოქმედო გეგმების შემუშავება და ენერგოეფექტური ღონისძიებების მხარდაჭერი კანონმდებლობის შექმნა	ადმინისტრაცია, ენერგოპოლიტიკის დაგეგმვაზე მომუშავე მხარეები	მოქმედი	2017-2020 წ.წ.
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა	მარეგულირებელი	გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების დაცვის/მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა და იმ რისკების თავიდან აცილება/მინიმუმამდე დაყვანა, რომლებიც საფრთხეს უქმნის	კლიმატის ცვლილების შერბილება, ენერგოეფექტურობა	მოქმედი	2017 – 2021.წ.

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყებ/დასრულების თარიღი
(NEAP) ¹⁷		ადამიანების ჯანმრთელობასა და მოსახლეობის კეთილდღეობას			
საქართველოში მყარი ბიოსაწვავის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია	მარეგულირებელი	მდგრადი მართვა და სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, სამრეწველო სექტორებიდან და სხვა წყაროებიდან მყარი ბიომასის ნარჩენების მიწოდების უზრუნველყოფა; მყარი ბიოსაწვავის წარმოებისთვის ახალი ტექნოლოგიების და ბიზნეს პროცესების წინსვლის ხელშეწყობა; ბიომასის ნარჩენებიდან მიღებული ენერჯის მდგრადი წარმოების და მოთხოვნის წახალისება	ბიოსაწვავის და ბიომასის წარმოება	დაგეგმილი	სამუშაო ვერსია შემუშავდა 2017. ამჟამად განხილვის პროცესშია
საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ ¹⁸	მარეგულირებელი	იმ ლონისძიებების წახალისება, რომელთა მიზანია იმ სივრცეების დაცვა, რომელნიც ფასეულია სასოფლო, სამრეწველო, ტრანსპორტის და ენერჯო მიზნებისთვის, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსებისთვის	მიწათსარგებლობა	მოქმედი	1996 წლის მარტი
საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020	მარეგულირებელი	სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები და სოფლის ეკონომიკის	ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოება	მოქმედი	2015-2020

¹⁷ <http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx>

¹⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=17>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყებ/დასრულების თარიღი
		და თემების დაბალანსებული ტერიტორიული განვითარება, მათ შორის დასაქმების ადგილების შექმნა და შენარჩუნება			
საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020	მარეგულირებელი	წყლის, სატყეო და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება და სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების ხელშეწყობა	ბიომასისა და ბიოსაწვავის წარმოება	მოქმედი	2017-2020
ადმინისტრაციული პროცედურები					
დადგენილება N 107: „განახლებადი ენერჯია 2008“ ¹⁹	მარეგულირებელი	საქართველოში განახლებადი ენერჯიის პროექტების ინიცირებისა და განხორციელების პროცედურებს განსაზღვრა	ინვესტორები განახლებად ენერჯიაში	მოქმედი	მიღებულ იქნა 2008 წლის 18 აპრილი; ცვლილება შევიდა 2013 წლის 07 მაისს
საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ბრძანება No. 40 ²⁰	მარეგულირებელი	არეგულირებს ჰიდროელექტრო და ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების წესებს, მათ შორის იმ განახლებადი ენერჯიის რესურსებს, რომელნიც არ არის მოცემული პოტენციური ელექტროსადგურების სიაში და რომელთა იდენტიფიცირებაც ინვესტორების მიერ განხორციელდება	ინვესტორები განახლებად ენერჯიაში	მოქმედი	2014 წლის 10 აპრილი
დადგენილება N 214: საქართველოში ელექტროსადგუ	მარეგულირებელი	წარმოადგენს ინტერესთა გამოხატვის წესს განახლებად ენერჯიაში ელექტროსადგურების მომუშავე ტექნიკურ-	ინვესტორები განახლებად ენერჯიაში	მოქმედი	2013 წლის 21 აპრილი

¹⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1915114?publication=0>

²⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278352?publication=0>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყებ/დასრულების თარიღი
რების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის, ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ ²¹		ეკონომიკური შესწავლის შესახებ			
დადგენილება №28 „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილებაში	მარეგულირებელი	წარმოადგენს ინტერესთა გამოხატვის წესს განახლებად ენერჯიკში ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის შესახებ	ინვესტორები განახლებად ენერჯიკში	მოქმედი	2017 წლის 24 იანვარი

²¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1994313?publication=8>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყებ/დასრულების თარიღი
ცვლილების შეტანის თაობაზე ²²					
ინსტიტუციონალური					
არსებული ინსტიტუციების პოტენციალის გაძლიერება	მარეგულირებელი	პირველადი ქმედებები მიმართული იქნება პროექტის/ინვესტიციების იდენტიფიცირებაზე, დონორთა კოორდინაციაზე, გრანტების გაცემის მხარდაჭერაზე და ტექნიკური დახმარების მხარდაჭერაზე	კერძო სექტორის აქტორები მათ შორის სამრეწველო და ენერჯო სექტორის კომპანიები, მუნიციპალიტეტები და ცენტრალური ხელისუფლება სამინისტროები/სააგენტოები, ზოგადად საზოგადოება	დაგეგმილი	
ინფორმირების ვალდებულებები					
მომხმარებელთა საინფორმაციო პროგრამები და ტრენინგები	მსუბუქი	საზოგადოებრივი და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების საშუალებით განხორციელდება განახლებადი ენერგეტიკული წყაროების პოლიტიკის წახალისება და მონაწილეებისთვის განახლებად ენერგეტიკულ წყაროებზე გაუმჯობესებული ცოდნის მიწოდება	საყოფაზოვრო სექტორის საბოლოო მომხმარებლები საზოგადოებრივი, სავაჭრო/ბიზნესს წრეები და მედიის წარმომადგენ	დაგეგმილი	

²² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3556328?publication=0>

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყებ/დასრულების თარიღი
			ლები		
სერტიფიცირება და სტანდარტები					
ბიოსაწვავის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები	მარეგულირებელი	<ul style="list-style-type: none"> • ეროვნული სტანდარტი მყარ ბიოსაწვავზე მომუშავე ღუმელებისთვის; • ეროვნული სტანდარტი მყარი ბიოსაწვავისთვის - ხარისხის უზრუნველყოფა-ნაწილი 1; • ეროვნული სტანდარტი მყარი ბიოსაწვავისთვის - ხარისხის უზრუნველყოფა-ნაწილი 2; • შეშის ბრიკეტები არა სამრეწველო გამოყენებისთვის; • ეროვნული სტანდარტი -- ხარისხის უზრუნველყოფა-ნაწილი 3; ხის მასალისგან მიღებული საწვავი არა სამრეწველო გამოყენებისთვის 	ბიოსაწვავის მწარმოებლები	დაგეგმილი	სტანდარტები შემუშავებულია თუმცა ჯერ არ არის დამტკიცებული
ენერგო სერტიფიცირების სისტემის ორგანიზაციული მოდელის შემუშავება და ოპერირება და დამოუკიდებელი საკონტროლო სისტემის რეგულაციების შემუშავება და მიღება	მარეგულირებელი	ეს ღონისძიება ოფიციალურად დამტკიცებული სერტიფიცირების და/ან აკრედიტაციის სქემების დაწესებას უწყობს ხელს, მათ შორის შენობებთან მიმართებაში მისაღები სასწავლო დაწესებულება და პროგრამები, რაც ენერგო მომსახურების მომწოდებელთა, ენერგო აუდიტორების, ენერგო მენეჯერების და შენობების ელემენტების მემონტაჟეთა რიცხვს და შესაძლებლობებს გაზრდის	ენერგომენეჯერები და შენობების ელემენტების მემონტაჟეები	დაგეგმილი	

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ექსპერტების სწავლება, გამოცდა და სერტიფიცირება და დამოუკიდებელი საკონტროლო სისტემისა და რეესტრის შექმნა	მარეგულირებელი	ეს ღონისძიება ენერგომომსახურების მომწოდებელთა, ენერგო აუდიტორების, ენერგომენეჯერების და შენობების ელემენტების მემონტაჟითა რიცხვს და შესაძლებლობებს გაზრდის საკონტროლო სისტემის მიერ გაცემული ინფორმაცია, საშუალებას მოგვცემს სერტიფიცირების სქემის ეფექტურობის შეფასება განვახორციელოთ	ენერგომენეჯერები და შენობების ელემენტების მემონტაჟები	მიმდინარე	2019 წლის დეკემბერი
განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმის დამატებითი ღონისძიებები					
მზის წყალგამათბობლების წახალისება	ინვესტიცია	ეს ღონისძიება ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმაშიც არის ასახული და მზის წყლის გამათბობლების აქტიური წახალისება არის ხაზგასმული, რაც ჩანაცვლებს ბუნებრივ გაზს და სხვა ტიპის ტრადიციული რესურსს	საყოფაცხოვრებო მომხამრებელი და ბიზნესი	დაგეგმილი	
ელექტროტრანსპორტის წახალისება	ინვესტიცია	ეს ღონისძიება ელექტროენერჯიაზე მომუშავე ავტოტრანსპორტისთვის ინფრასტრუქტურის შექმნას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარკისთვის ელექტრო ავტომობილების შესყიდვას მოიცავს და ელექტროენერჯიაზე მომუშავე ავტომობილების გამოყენებაზე კერძო სექტორს და მოსახლეობას რეკომენდაციას აძლევს	საზოგადოებრივი სექტორი, საყოფაცხოვრებო მომხამრებელი და ბიზნესი	დაგეგმილი	
ჰოდროელექტრო ენერჯის წარმოების მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ენერგომწარმოებლებთან შეთანხმებით ახალი ჰოდროელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას გულისხმობს	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020წ.წ

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ენერგომწარმოებლებთან შეთანხმებით ახალი ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობას გულისხმობს	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020 წ.წ.
მზის ენერჯის წარმოების მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ენერგომწარმოებლებთან შეთანხმებით ახალი მზის ელექტროსადგურების მშენებლობის გულისხმობს	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020 წ.წ.
ენერჯის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო ელექტროსადგურების (100 კვტ.-მდე) წახალისება	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ითვალისწინებს მუდმივ მხარდაჭერას ენერჯის განახლებად წყაროებზე მომუშავე მიკრო ელექტროსადგურების მფლობელებთან ხელშეკრულებების გაფორმების გზით	კერძო სექტორი	მიმდინარე	2018 – 2020 წ.წ.
მიმდინარე გეოთერმული სითბოს წარმოების მხარდაჭერა	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება არსებული გეოთერმული რესურსების გამოყენების გაფართოებას გულისხმობს	კერძო სექტორი	დაგეგმილი	
მყარი ბიომასის რესურსების გამოყენების მართვის გაუმჯობესება- ტყის ახალი კოდექსის შემუშავება, ტყეების ინვენტარიზაცია და ნარჩენების გამოყენების წახალისება	მარეგულირებელი / ინვესტიცია	ეს ღონისძიება ითვალისწინებს ტყეების მათვის გაუმჯობესებას, ნარჩენი ბიომასის გამოყენებას გატბობისთვის და ელექტროენერჯის წარმოებისათვის და სხვა	კერძო სექტორი/ ეროვნული სატყეო სააგენტო	დაგეგმილი	

ლონისძიების დასახელება და წყარო	ლონისძიების ტიპი	მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფი ან ქმედება	მოქმედი/დაგეგმილი	ლონისძიების დაწყება/დასრულების თარიღი
გათბობა-გაგრილების ცენტრალური სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარება	ინვესტიცია	ეს ღონისძიება ითვალისწინებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევების ჩატარებას და ინვესტიციების მოზიდვას ენერჯის განახლებად წყაროებზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების დანერგვას.	კერძო სექტორი	მიმდინარე / დაგეგმილი	2018 – 2020 წ.წ.
საკომუნიკაციო ღონისძიებები და ტექნიკური ექსპერტების პოტენციალის გაზრდა	პოტენციალის გაზრდა	ეს ღონისძიება ითვალისწინებს ტექნიკური ექსპერტების პოტენციალის გაძლიერებას და მუდმივ საკომუნიკაციო ღონისძიებებს საზოგადოებასთან ენერჯის განახლებადი წყაროების შესახებ	მოსახლეობა / ტექნიკური ექსპერტები	დაგეგმილი	

4.2 მხარდაჭერის სქემები ელექტროენერჯიაში, გათბობა-გაგრილებასა და ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისათვის

დღეისთვის საქართველოში მხარდაჭერის სქემები არ გამოიყენება აღნიშნული კუთხით. თუმცა, შესაძლებელია მომავალში გამოყენებულ იქნას ისეთი სქემები, როგორიცაა:

მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლების დანერგვის წახალისება, ელექტროენერჯიაზე მომუშავე ავტომობილების წახალისება, გეოთერმული სითბოს წარმოების მხარდაჭერა და სხვა.

პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული შესწავლილი იქნეს რაც ხელს შეუწყობს განახლებადი ენერჯის გამოყენების შესაძლებლობებს გათბობა-გაგრილებისა და ტრანსპორტის სექტორში.

4.3 ევროკომისიის 2009/28 დირექტივის მე-13, მე-14, მე-16 და მე-17-დან 21-ე მუხლების მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებები

4.3.1 ადმინისტრაციული პროცედურები და სივრცითი მოწყობა (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (1))

ა) ავტორიზაციის, სერტიფიცირების, ლიცენზირების პროცედურებთან მიმართებაში არსებული ეროვნული და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რეგიონალური კანონმდებლობის ჩამონათვალი, ელექტროსადგურებთან მიმართებაში სივრცითი მოწყობის მაგალითები და გადაცემისა და განაწილების ქსელური ინფრასტრუქტურა:

საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ენერგეტიკის დარგის სამშენებლო პროცესისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების საკითხებს განსაზღვრავს, მოიცავს შემდეგ კანონებს:

- საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“;
- საქართველოს კანონის „მშენებლის ენერგოეფექტურობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება N515 „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ წარმოადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტს“;
- საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“;
- საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N125 „საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება N40 „იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადებების ენერგეტიკის სამინისტროსთვის წარდგენისა

და განხილვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ არის შეტანილი ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში“;

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის დადგენილება N14 „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“;

- საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N434 „ტექნიკური რეგლამენტი - ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის დადგენილება N10 „ქსელის წესების (გადამცემი და გამანაწილებელი) დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილება N20 „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) და მიწოდების მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის დადგენილება N107 „სახელმწიფო პროგრამა განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი სადგურების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს დადგენილება N214 „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესაწვლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება N77 „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის დადგენილება N193 „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“.

სივრცითი მოწყობისა და სამშენებლო დარგში ავტორიზაციას, სერტიფიცირებასა და ლიცენზირების არეგულირებს:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251 „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“;

- საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“;

- საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის დადგენილება N52 „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41 ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის დადგენილება N366 „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“.

საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც გარემოსდაცვით სფეროში ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურებს არეგულირებს:

- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.

ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურების მარეგულირებელი შესაბამისი კანონები:

- საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

გარდა ამისა, მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების დამტკიცება იმ მოწყობილობებისთვის, რომლებიც მოიხმარენ განახლებად ენერჯიას (მაგალითად, ბიომასის ღუმელები, ბიომასის ჰიბრიდული გამათბობლები, თბური ტუმბოები და სხვა).

ბ) პასუხისმგებელი სამინისტრო(ები), უფლებამოსილი პირი(ები) და მათი კონპეტენციები დარგში

ავტორიზაციის, ნებართვების, სერტიფიცირების, ექსპლუატაციისა და ლიცენზირების სფეროში შემდეგი უწყებებია ჩართული: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ამ პროცესში მათი მონაწილეობის ხარისხი ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 2017 წლის დასასრულს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შერწყმა განხორციელდა, რის საფუძველზეც, ეს უკანასკნელი ასევე პასუხისმგებელი გახდა ენერჯეტიკული (მათ შორის განახლებადი) პროექტების განხორციელების უფლების მინიჭებაზე (ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება, მათ შორის განახლებადი ენერჯის ნუსხაში მოცემულ პროექტზე, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მიღება/განხილვა და პროექტის განმახორციელებლებთან ურთიერთგაგების მეორანდუმის მომზადება). როგორც წესი, პროცედურა სრულდება სამინისტროს, ელექტროსადგურის დეველოპერის, ბაზრის ოპერატორისა და (უმეტეს შემთხვევაში) გადაცემის ლიცენზიანტების მიერ ურთიერთგაგების მეორანდუმის ხელმოწერით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აგრეთვე სამშენებლო ნებართვების გამცემი უწყებაა, რომელიც მართავს სახელმწიფო საკუთრებასა და მიწას და ახორციელებს ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობას, მათ შორის მაღალი რისკის მქონე სამშენებლო პროექტებზე, და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მეშვეობით გასცემს სერტიფიკატს ექსპლუატაციაზე.

სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება, ახორციელებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ნაგებობების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას (მათ შორის ჰესებისას). სააგენტო, ობიექტის სათანადო ინსპექტირების შემდეგ, სამშენებლო ნებართვებისა და ექსპლუატაციის სერტიფიკატების გაცემაზეა პასუხისმგებელი. სააგენტო ასევე პასუხისმგებელია ტექნიკური სტადარტებისა და რეგლამენტების შემუშავებასა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობების შესაბამისობის ინსპექტირებაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების სახელმწიფო მართვაზე, გარემოს დაბინძურების მონიტორინგზე, ეკოლოგიური ანალიზის განხორციელებაზე, საქართველოს ტერიტორიაზე მდინარეთა აუზებსა და წყალსატევებში არსებული და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოდინამიკური პროცესების შეფასებაზე. სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ უწყებას, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემაზეა პასუხისმგებელი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სამინისტროს პასუხისმგებლობის არეალი, კერძოდ ექსპერტული შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების მიღება და გარემოზე ზეგავლენის ნებართვის გაცემა (სამშენებლო ნებართვის მეორე ფაზის ნაწილი) იმ სადგურებისთვის, რომელთა დადგმული სიმძლავრე 2 მგვტ-ზე მეტია.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური

უფლებათუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისგან და მოქმედებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. კომისიის მოვალეობაში შედის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მიღება და ამასთან ლიცენზიატების, იმპორტიორების, ბაზრის ოპერატორისა და მომწოდებლებისთვის განსაზღვრული ტარიფების დამტკიცება, მათ შორის ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასურის დადგენა.

კომისია ასევე პასუხისმგებელია საქართველოს ქსელის წესების მიღებაზე, გამანაწილებელი ქსელის ხუთწლიანი განვითარების გეგმებისა და სამწლიანი გადამცემი საინვესტიციო გეგმების შემუშავებაზე, ასევე ბაზრის წესებისა და გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმების დამტკიცებაზე.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი - პასუხისმგებელია საბალანსო ელექტროენერჯის ყიდვის-გაყიდვის შეთანხმებების დასრულებაზე. ელექტროენერჯის შესყიდვის ფასზე შეთანხმება ხდება გარკვეულ პერიოდზე გაანგარიშებით (არანაკლებ რვა თვისა) ერთი წლის განმავლობაში და შესაბამისად შეთანხმებულ ფასად ხდება ელექტროენერჯის შექმნა.

ადგილობრივი ხელისუფლება - პასუხისმგებელია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების სამშენებლო ნებართვების გაცემაზე, რომელიც მიეკუთვნება II-IV სამშენებლო ჯგუფს, იმ შემთხვევაში თუკი ასეთი მშენებლობა მაღალი რისკების მატარებელი არ არის (მაგალითად: არ მოიცავს კაშხალებს, წარმოების გვირაბებსა და სხვა). ამ შემთხვევაში, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის უფლებების გადაფარვას ადგილი არ აქვს.

გადამცემი სისტემის ოპერატორი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს:

- ა) საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრებზე პროდუქტების საპროგნოზო მოცულობის განსაზღვრას;
- ბ) თვითდისპეტჩირების პრინციპით ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვას, ასევე, დაბალანსებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, საბალანსო ბაზრის შედეგების საფუძველზე შესაბამისი სიმძლავრის გააქტიურებას;
- გ) ტრანსსასაზღვრო დაბალანსების მექანიზმის ორგანიზებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ელექტროენერგეტიკულ სისტემებს შორის ავარიული დახმარების მიწოდების მართვას;
- დ) დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირების, მათ შორის, დაბალანსების მომსახურების მიწოდებელთა რეგისტრაციას და შესაბამისი კოდების მინიჭებას;
- ე) საბითუმო ბაზრების ოპერირებისათვის საჭირო ელექტროენერჯის აღრიცხვის სისტემის მართვასა და განვითარებას, საათური აღრიცხვის მონაცემების ხელმისაწვდომობას.

დისპეჩერიზაციის სისტემის ოპერატორები - დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტები²³, როგორც საკუთარ ქსელებს, ასევე მესამე მხარეების ფლობელობაში არსებულ ქსელებს მართავენ და ემსახურებიან. დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტები ერთბაშად ორი სახის მომსახურებას სთავაზობს საცალო მომხმარებელს - ქსელის მომსახურებას და ელექტროენერჯის მიწოდებას²⁴.

გ) ევროკომისიის 2009/28 დირექტივის 13 (1) მუხლის შესაბამისი მოთხოვნების შესრულებისთვის საჭირო შესწორებების მიღება

ამჟამად 13 (1) მუხლთან მიმართებაში, არსებულ კანონმდებლობაში აუცილებელი შესწორებების შეტანის კონკრეტული დრო არ არის მითითებული, მაგრამ საქართველომ „ენერგეტიკული გაერთიანების“ წინაშე აიღო ვალდებულება, რომ ენერგეტიკული კანონმდებლობის (ელექტროენერგეტიკა და განახლებადი ენერჯია) ცვლილებებს განახორციელებს.

შემუშავების პროცესშია ახალი რეგულაციები ახალ ენერგეტიკულ კანონთან შესაბამისობაში შემდეგ სფეროებში:

- უნივერსალური მიმწოდებლისა და ბოლო მიმწოდებლის წესები;
- საცალო მომხმარებლების გადართვის წესები;
- ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოების წესები;
- ტრანსსასაზღვრო გამტარუნარიანობის აუციონის წესები.

დ) რეგიონალურ/ადგილობრივ დონეზე (შესაბამისობის გათვალისწინებით) არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების რეზიუმე

საქართველოს 24 ქალაქი „მერების შეთანხმების ინიციატივის“ ხელმძღვანელია²⁵ და პროგრამაში მონაწილეობას იღებს. ჩვიდმეტმა ქალაქმა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა (SEAP) შეიმუშავა, რომელიც განსაზღვრავს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ღონისძიებებს ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, შენობების, გარე განათების, მიწათსარგებლობისა და ნარჩენების მართვის სფეროებში. სამოქმედო გეგმებში მხარდაჭერილია განახლებადი ენერჯის რესურსების გამოყენება მათ შორის საზოგადოებრივი შენობების გათბობისა-გაგრილების სისტემებში, ასევე ელექტროენერჯიაზე მომუშავე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, გარე განათებაში მზის ფოტოელექტროგარდამქმნელების დანერგვა. ამ ღონისძიებების გატარება CO₂ ემისიების შემცირებას შეუწყობს ხელს. მათი განხორციელება უნდა მოხდეს სამოქმედო გეგმის

²³ ორი დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტი - სააქციო საზოგადოება ენერგო-პრო ჯორჯია და სააქციო საზოგადოება თელასი

²⁴ ევროკავშირის მესამე ენერგეტიკული პაკეტის მიხედვით გამანაწილებელი ქსელის ოპერატორები არ არიან განცალკევებულები

²⁵ <https://www.covenantofmayors.eu/about/covenant-community/signatories.html>

გათვალისწინებით და მუნიციპალიტეტის შემდეგ ქმედებებს უნდა დაეყრდნოს: ხელსაყრელი გარემოს შექმნა, შესაძლებლობების შექმნა, თვალსაჩინო მაგალითები, მოქალაქეთა მხარდაჭერის მოპოვება, ქმედებებში მოქალაქეთა პირდაპირი ჩართულობა და მათი ნდობის მოპოვება, სხვადასხვა მხარეების მხარდაჭერის მოპოვება და მათი ჩართულობა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის ღონისძიებებში.

განხორციელებული პროექტები მოიცავს მზის თერმულ სისტემებს მუნიციპალური ბაღებისთვის, მზის ფოტოვოლტაიკურ სისტემებს მუნიციპალური შენობებისა და გარე განათებისთვის, გათბობის სისტემის მოდერნიზებას განახლებადი წყაროების გამოყენებით. თუმცა განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ათვისება ფართო მასშტაბით არ ხორციელდება და განახლებადი ენერჯის ადგილობრივი მწარმოებლების მხარდაჭერის პერსპექტივები არ არის ნათლად გამოკვეთილი.

დღეისთვის გამოკვეთილი არ არის განახლებადი ენერგეტიკული წყაროებიდან ელექტროენერჯის გენერაციისა და მათთან დაკავშირებულ გადაცემისა და განაწილების ქსელურ ინფრასტრუქტურასთან, გათბობა-გაგრილების მისაღებად ანდა ბიომასის ბიოსაწვავად ან სხვა ენერგო პროდუქტებად ტრანსფორმირებასთან დაკავშირებული წინაღობები და არათანაზომიერი მოთხოვნები. ზოგადად, ამ პროცესების განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობებია შემუშავებული.

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერჯის ობიექტების ავტორიზაცია/სერტიფიცირება/ლიცენზირება ხორციელდება სახელმწიფო დონის პასუხისმგებელი ორგანოების მიერ, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, ბაზრის ოპერატორისა და სისტემის ოპერატორების (გადაცემის სისტემის ოპერატორი, განაწილების სისტემის ოპერატორი) მიერ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პასუხისმგებლები არიან განახლებადი ენერგეტიკული წყაროების სამშენებლო ნებართვების გაცემაზე, რომელიც მიეკუთვნება II-IV სამშენებლო ჯგუფს, იმ შემთხვევაში თუკი ასეთი მშენებლობა მაღალი რისკების მატარებელი არ არის (მაგალითად: არ მოიცავს კაშხალებს, წარმოების გვირაბებსა და სხვა). ამ შემთხვევაში, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის უფლებების გადაფარვას ადგილი არ აქვს.

განახლებადი ენერჯის წყაროების კატეგორიზაცია ხორციელდება შემდეგი პრინციპებისა და დადგმული სიმძლავრის გათვალისწინებით:

- **მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური** – საბოლოო მომხმარებლის ან საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფის მფლობელობაში არსებული ელექტროენერჯის წარმოების ობიექტი, რომელიც იყენებს განახლებადი ენერჯის წყაროებს, უკავშირდება ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელს და რომლის დადგმული სიმძლავრე არ აღემატება 100 კვტ-ს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისიის მიერ განსაზღვრულია

უფრო მაღალი ზედა ზღვარი. ამასთანავე, ასეთ შემთხვევაშიც ზედა ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 500 კვტ-ს. მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურები უფლებამოსილი არიან, ისარგებლონ ნეტო აღრიცხვის პოლიტიკით და, ამასთან, არ საჭიროებენ სამშენებლო ნებართვის, ექსპლუატაციის სერტიფიკატის ან ლიცენზიის ფლობას. ქსელთან დაშვება უზრუნველყოფილია გამარტივებული პროცედურებით;

- **მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური** - ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 15 მგვტ-ს. ასეთი ელექტროსადგური არ მოითხოვს ლიცენზიის ფლობას. თუმცა, საჭიროებს სტანდარტული ავტორიზაციის პროცედურების დაცვას.
- **ელექტროსადგურები 15 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრით** - ამ ტიპის სადგურები საჭიროებენ ლიცენზიის ფლობას, ისევე როგორც სხვა ავტორიზაციული პროცედურების გავლას (ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, სამშენებლო ნებართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ექსპლუატაციის სერტიფიკატი).

ავტორიზაცია/სერტიფიცირება/ლიცენზიაზე ყოვლისმომცველი ინფორმაცია და დამატებითი განმარტებები ხელმისაწვდომია შესაბამისი უწყებების ოფიციალური ვებ-გვერდებზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (www.moe.gov.ge) ვებ-გვერდზე აქვეყნებს ყველა კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ისევე, როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე გაცემულ თანხმობებს.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org) ხელმისაწვდომია ინფორმაცია ლიცენზიებსა და ქსელის მისაწვდომობის რეჟიმებზე.

გადაცემის სისტემის ოპერატორის (სსე) ვებ-გვერდზე (www.gse.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია ქსელთან მიერთების წესებსა და საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განახლებადი ენერჯეტიკული წყაროების განვითარებაზე, პოტენციალსა და შეზღუდვებზე.

დღეისთვის ნებართვების სხვადასხვა შემადგენლებზე პასუხისმგებელი სხვადასხვა ადმინისტრაციულ უწყებებს შორის ჰორიზონტალური კოორდინირების საშუალება არ არსებობს. სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყებების მთავარი დამაკავშირებელი რგოლი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. თუმცა, ყველა ნებართვა და ლიცენზია (საჭიროების შემთხვევაში) ინვესტორის მიერ უნდა იყოს მართული. აპლიკაციების განხილვის დროითი ვადა რეგულირდება კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და უმეტეს შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე პროცესის ხანგრძლივობაზე წინასწარ არის ინფორმირებული.

განახლებადი ენერჯეტიკული წყაროების პროექტების ავტორიზაცია მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ობიექტის ტიპსა და ზომაზე. პირველი კლასით განსაზღვრული მშენებლობა

არ მოითხოვს რაიმე ტიპის ნებართვებს ან ლიცენზიებს, დეველოპერი უფლებამოსილია, აწარმოოს მშენებლობა პროცედურების გარეშე. აგრეთვე ექსპლუატაციის ვალდებულება არ არის მოთხოვნილი. მშენებლობის დასრულების შემდეგ, მფლობელი მიმართავს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს, რომელიც ვალდებულია ქსელთან მიერთება განახორციელოს 20-40 დღის განმავლობაში.

უფრო მსხვილი განახლებადი ენერგეტიკული წყაროების პროექტებზე სამინისტროს თანხმობის მიღების საშუალო ვადა (ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა) მეტწილად დამოკიდებულია პროექტსა და ინვესტორის მიერ ტექნიკური-ეკონომიკური შესწავლის განხორციელებაზე. ამ შესწავლის დროითი ჩარჩო განისაზღვრება საქართველოს მთავრობასთან ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმით. ინვესტორი ვალდებულია, ზედმიწევნით დაიცვას გაწერილი მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაექვემდებარება ფინანსურ დაჯარიმებას.

მსხვილი ჰიდროენერგეტიკული პროექტები, როგორც წესი, გადის სამშენებლო პროცესის სამ ფაზას, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს. ეს განპირობებულია ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვა ინსტიტუტების ჩართულობით.

სამშენებლო ნებართვის განხილვის სხვადასხვა ეტაპებისთვის ნებართვის გამცემი უწყება უფლებამოსილია ადმინისტრაციული პროცედურების ვადა სამ თვემდე გაზარდოს. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სამშენებლო ნებართვების გასაცემად განსაზღვრული საშუალო დროითი ჩარჩო მინიმუმ რამდენიმე თვესა და მაქსიმუმ წელიწადს მოიცავს.

საქართველოს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების თანახმად, ელექტროსადგურის მენეჯმენტი უფლებამოსილია, ლიცენზიის გარეშე, სატესტო რეჟიმში 3 თვემდე ოპერირება განახორციელოს. ამ პერიოდის განმავლობაში ელექტროსადგურმა შესაბამისობის ტესტირება გადამცემი სისტემის ოპერატორთან უნდა გაიაროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ექსპლუატაციაზე ნებართვა მიიღოს.

15 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის პროექტებისთვის, განაცხადის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში, როდესაც ინვესტორს ხელთ ექნება ყველა საჭირო დოკუმენტი (მათ შორის ექსპლუატაციის სერტიფიკატი), საბოლოოდ ლიცენზიის გაცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცედურაში განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიების თავისებურებები კანონით არ არის განსაზღვრული, თუმცა არსებობს გარკვეული სხვაობები სამშენებლო ნებართვის მიღებისას, რაც განპირობებულია განახლებადი ენერგეტიკული წყაროს ტიპსა და მასშტაბზე, როგორც ეს ზემოთ იქნა განმარტებული.

გეოთერმული წყლის გამოყენება რეგულირდება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს მთავრობის N136 დადგენილებით. დადგენილების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა (მათ შორის გეოთერმული წყლების) და/ან მათი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სათანადო ლიცენზიით; ლიცენზია გაიცემა აუქციონზე, რომლის ორგანიზება ევალება სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის N271 დადგენილების თანახმად, ლიცენზიანტებმა წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ სტატისტიკური დაკვირვების ფორმები N1-02, „მონაცემები მიწისქვეშა წყლებისა და არასაწვავი აირების საბადოთა მდგომარეობისა და შესწავლის შესახებ“ და N1-03 „მონაცემები მიწისქვეშა წყლებისა და არასაწვავი აირების რეჟიმული ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებების, მოპოვებისა და წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების შესახებ“²⁶. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N115 დადგენილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა სტატისტიკური დაკვირვების ფორმები²⁷.

ამასთან, მნიშვნელოვანია ელექტროსადგურების საკუთრების ფორმა (სახელმწიფო/კერძო), როდესაც საკითხი ეხება სამშენებლო ნებართვის განსაზღვრასა და ექსპლუატაციის სერტიფიკატის გამცემ უწყებას. თუკი განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ (სახელმწიფო ფონდები), სამშენებლო ნებართვა და ექსპლუატაციის სერტიფიკატი გაიცემა ცენტრალური პასუხისმგებელი ორგანოს მიერ.

საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ გვთავაზობს განახლებადი ენერგეტიკული წყაროების განსაზღვრას. კანონი შეიცავს დებულებებს, რომელთა ძალით მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური, 100 კვტ-მდე დადგმული სიმძლავრით, თავისუფლდება სამშენებლო ნებართვების ან წარმოების ლიცენზიის ფლობისგან, აგრეთვე ნებისმიერი სახის სამეწარმეო საქმიანობისა და საგადასახადო ვალდებულებებისგან. ისეთი სახის მცირე მასშტაბის დეცენტრალიზირებული ობიექტები, როგორცაა მიკრო ელექტროსადგურები, გამარტივებულ პროცედურებით სარგებლობენ, ვინაიდან არ არიან მიბმული კონკრეტულ სანებართვო მოთხოვნებზე (ყველა ტიპის მიკრო გენერატორი, ჰიდროელექტრო სადგურები 50 კვტ დადგმული სიმძლავრით), როგორცაა უფლებები მიწათსარგებლობაზე, სამშენებლო ნებართვები და სხვა. მიკრო გენერატორები მხოლოდ მაშინ არის მოთხოვნილი, როდესაც ხდება პირდაპირი მიერთება გამანაწილებელ ქსელთან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის რაიმე სახის ნებართვის, სერტიფიკატის ან დამატებითი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. განაცხადის შესავსები ფორმა შემუშავებულია კომისიის მიერ. თუკი განმცხადებლის მიერ აღნიშნული ფორმა წესების დაცვითაა შევსებული, ამ შემთხვევაში, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს არ აქვს უფლება, არ დააკმაყოფილოს განაცხადი დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების მოთხოვნის საფუძველზე. თუკი მცირე-მასშტაბის ობიექტები მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს გამანაწილებელ ქსელთან მიერთების პროცედურის აუცილებლობა.

²⁶ დღიური დებეტი, ტემპერატურა, მიწისქვეშა წყლების დონე

²⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4093352?publication=0>

დარეგულირებული მცირე ელექტროსადგურები თავისუფლდება წარმოების ლიცენზიისა და კომისიის მიერ დადგენილი წარმოების ტარიფისგან.

კომისიის რეგულაცია „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდება და მოხმარების წესები“ განსაზღვრავს ნეტო-აღრიცხვის პოლიტიკას, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების პროცედურებსა და აღრიცხვა-ანგარიშსწორების მექანიზმს. რეგულაციის მიხედვით, ელექტროსადგურების მიერთება გამანაწილებელ ქსელთან გამარტივებული პროცედურით (ერთი ფანჯრის პრინციპის გათვალისწინებით) ხორციელდება. მომხმარებელი აბარებს განაცხადს და გადადის მოლოდინის პასიურ რეჟიმში. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი მომხმარებლის ჩართულობის გარეშე ახორციელებს განაცხადთან დაკავშირებულ აუცილებელ სამუშაოებს. განაცხადის ჩაბარების შემდეგ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერთების დრო მკაცრად განსაზღვრულია 20 დან 40 დღემდე, მისაერთებელი სიმძლავრისა და ძაბვის დონის მიხედვით. წესები გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომია კომისიის ვებ-გვერდზე.²⁸

მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებელი სარგებელს ნეტო-აღრიცხვისგან ერთი თვის განმავლობაში მიიღებს. ენერჯის ბალანსის წარმოება ყოველთვიურად ხორციელდება. თუ თვეში მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და გამანაწილებელი კომპანიის ქსელისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობა მეტია საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე, სხვაობა (გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერჯია) აისახება საცალო მომხმარებლის მომდევნო თვის ქვითარში კრედიტის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საცალო მომხმარებელი გამანაწილებელ კომპანიასთან ანგარიშსწორებას ახდენს მხოლოდ სხვაობის შედეგად მიღებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე.

საანგარიშო წლის ბოლოს, თუ საცალო მომხმარებლის ქვითარში კრედიტის სახით ასახულია ელექტროენერჯის სიჭარბე, გამანაწილებელი კომპანია ვალდებულია, შეისყიდოს ის, კომისიის მიერ გათვალისწინებული შესყიდული ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასით.

დღეისთვის არ არსებობს ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებებისთვის, სამრეწველო და საცხოვრებელი სივრცეების დაგეგმარების, დაპროექტების, მშენებლობისა და განახლების პროცესში ელექტროენერჯის, გათბობა-გაგრილების (მათ შორის ცენტრალურ) სისტემებში განახლებად ენერჯიებზე მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების სამონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად. საჭიროა ასეთი დოკუმენტის შემუშავება შესაბამის უწყებებს შორის კოორდინირებით.

²⁸ <http://gnerc.org/files/dadgenilebebi%20da%20gadawyvetilebebi/dadgenileba2008/20%20new.pdf>

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე განთავსებულია სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ლიცენზიების მოპოვებასა და ნეტო-აღრიცხვის პოლიტიკას ეხება.

ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე განახლებადი ენერგეტიკული წყაროების განვითარების სახელმძღვანელო დოკუმენტის დანაკლისი შესაძლებელია რამდენიმე საშუალებით იქნას შევსებული:

- ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები შესაძლებელია „მერების შეთანხმების“ მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმებში იქნას დაფიქსირებული, სადაც ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წახალისების გეგმებთან, ღონისძიებებსა და პრინციპებთან ერთად რეგიონალურ დონეზე იქნება წარმოდგენილი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს შეუძლიათ ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაციებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, სადაც აისახება განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარება და ენერგოეფექტიანობის ამაღლება. მაგალითად, განაწილებული გენერაცია (მიკრო გენერაცია, ფოტოელექტროგარდამქმნელები, თბური კოლექტორები) და ტექნოლოგიური ქსელები;

დღეისთვის, ნებართვის, სერტიფიცირებისა და განახლებადი ენერგეტიკული დანადგარების ლიცენზირების პროცედურების პასუხისმგებელი უწყებების თანამშრომლები თემატურ ტრენინგებს არ გადიან, თუმცა კომისია შესაძლებლობათა გაძლიერების უწყვეტ პროცესს ანხორციელებს თემატური სემინარების საშუალებით, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება, მიიღონ სათანადო ინფორმაცია.

გარანტირებული შესყიდვის შეთანხმება წარმოადგენს დამატებით მექანიზმს სახელმწიფოსგან განახლებადი ენერჯიების წახალისებისთვის. ასევე, საქართველოს მთავრობა გეგმავს, ეტაპობრივად შეიმუშაოს მხარდაჭერის სქემები სხვადასხვა მწარმოებლისათვის, განახლებადი ენერჯიების ხელშეწყობის მიზნით.

4.3.2 ტექნიკური სპეციფიკაციები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (2))

ტექნიკური თვალსაზრისით, განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების გამოყენებაში დამხმარე სქემებისთვის შეზღუდვები არ არსებობს, მაგალითად, როგორცაა სპეციფიკური სტანდარტები ან მოწყობილობის დამატებითი სპეციფიკაცია მათთან მიმართებაში ბაზარზე არსებული სტანდარტები მოქმედებს. გამოყენებული მოწყობილობა „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის, გადაცემისა და გამანაწილებელი ქსელის წესებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროენერჯის სადგურებისა და ქსელების ექსპლუატაციის დადგენილ წესებსა და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

გადაცემისა და განაწილების ქსელის წესები მოითხოვს ელექტროენერჯის გენერატორის მიერ ქსელთან მიერთების წერტილში ხარისხობრივი პარამეტრების, კერძოდ, ძაბვის (ძაბვის დონეს, ჰარმონიკები) და სიმძლავრის კოეფიციენტის (cosφ) შენარჩუნებას. ქსელთან მისაერთებლად და ელექტროენერჯის მიწოდების დასაწყებად აუცილებელია განახლებადი ენერჯის მწარმოებლების მიერ აღნიშნული საერთო ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილება. არ არსებობს ეგწ-სთვის სხვა ხარისხის სტანდარტები ან ტექნიკური მოთხოვნები, გარდა ჰიდრო აგრეგატებისა. კერძოდ, გადამცემი ქსელის წესების 23-ე მუხლი განსაზღვრავს ჰიდროენერგეტიკული აგრეგატებისთვის ნომინალური სიმძლავრის კოეფიციენტის (cosφ) დიაპაზონს 0.8-0.85 ფარგლებში და ამასთან, დამხმარე მომსახურებისთვის შემდეგი სახის კატეგორიზაციასა და მოთხოვნებს ადგენს:

ცხრილი 6: განმცხადებლის ელექტროსადგურისათვის დადგენილი მოთხოვნები

კატეგორია	სიმძლავრის დიაპაზონი (მეგავატი)	ძაბვის რეგულირების შესაძლებლობა	სტაბილურობის მოთხოვნები	რეზერვები			ავტომატიური გაშვების შესაძლებლობა
				მზრუნავი/ცხელი რეზერვი	პირველი რიგის	მეორე რიგის	
ა	<1,5	-	-	-	-	-	-
ბ	1.5÷<10	+	+	-	-	-	შეთანხმებით
გ	10÷<30	+	+	+	შეთანხმებით-	შეთანხმებით-	+
დ	≥30	+	+	+	+	შეთანხმებით	+

ამჟამად მიმდინარეობს პროექტი, რომლის ფარგლებსიც გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, საერთაშორისო საკონსულტაციო დახმარებით, მომზადდა ქარისა და მზის ენერჯის ქსელში ინტეგრირების შეფასება. აღნიშნული შეფასების საფუძველზე დადგინდა ქარისა და მზის სიმძლავრეების ქსელთან მიერთების შესაძლებლობები 2020, 2025 და 2030 წლებისთვის და თითოეული შეერთების წერტილისთვის განისაზღვრა სიმძლავრის ლიმიტი.

4.3.3 შენობები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 13 (3))

დღეისთვის განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წილის ზრდასთან მიმართებაში მოქმედებს საქართველოს კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“. სექტორზე პასუხისმგებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2020 წლის 21 მაისს, რომელიც შენობების სექტორში განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მიღების წილის გაზრდის სქემებსაც ასახავს. თუმცა,

თითქმის ნულოვანი ენერჯის შენობების განსაზღვრება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამ მიზნისთვის გეგმები მომავალში შემუშავდება²⁹.

შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების შესახებ დირექტივის გადმოტანა და აღსრულება ითვალისწინებს შემდეგს:

- შენობებში ენერგოეფექტურობის მახასიათებლების გასაანგარიშებელი მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ხარჯ-ოპტიმალური დონის გათვალისწინებით, შენობებში ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრა და დადგენილი ნორმების მისადაგება ახალი და არსებული შენობებისთვის;
- ახალი შენობებისთვის, სამშენებლო პროცესის დაწყებამდე, მომზადებული ენერგოეფექტურობის ალტერნატიული სისტემების ტექნიკური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური შესწავლის განხორციელება და მიღებული შედეგების გათვალისწინება;
- მნიშვნელოვანი რეაბილიტაციისას არსებული შენობების, ან მათი გარკვეული განახლებული ნაწილის, ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- საინჟინრო-ტექნიკურ სისტემებში ენერჯის გამოყენების ოპტიმიზაციის მიზნით, ამ სისტემებისთვის წასაყენებელი მოთხოვნების შემუშავება, სწორი შერჩევა, მონტაჟი, მორგება და მართვა;
- ბაზარზე არსებულ ბარიერების გადასალახად ფინანსური სტიმულების შემუშავება;
- ახალი და არსებული შენობებისთვის ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების შემუშავება და დანერგვა;
- აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება გათბობა-გაგრილების სისტემების რეგულარული ინსპექტირებისთვის;
- შენობების ფონდის ინვენტარიზაცია;
- სანიმუშო ტიპური შენობების პროექტების შემუშავება.

გაცხადებული მიზნის მიუხედავად, ეგწ-ბის (და საპილოტე პროექტების) განხორციელების მაჩვენებელი უმნიშვნელოა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადრეულ ეტაპებზე დანერგილ გეოთერმულ გათბობა-ცხელწყალმომარაგებას.

შენობებში ენერგოეფექტური და განახლებადი ტექნოლოგიების წახალისების მიზნით, როგორცაა ბიომასაზე მომუშავე ეფექტური გამათბობლები, მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლები და ასე შემდეგ, დონორთა მიერ დაფინანსებული რიგი ინიციატივები განხორციელდა. ამ ინიციატივების უმრავლესობა საპილოტე ხასიათს ატარებდა, მაგრამ არსებობს გეგმები მათი ფართო დანერგვის შესახებ.

²⁹ შენიშვნა: ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოებისთვის, ახალი შენობებისთვის ეს მიზანი 100%-ია 2020 წლამდე.

4.3.4 ინფორმირების დებულებები (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (1), 14 (2) და 14 (4))

ა) ეროვნულ/რეგიონალურ/ადგილობრივ დონეებზე ინფორმაციის გავრცელების პასუხისმგებელი უწყება (ები):

ეგწ-ბის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პასუხისმგებელი უწყებებია:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისია;
- მუნიციპალიტეტები (მათი უმრავლესობა „მერების შეთანხმების“ ხელმძღვანელია).

გარდა წარმოდგენილი ჩამონათვალისა, არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ჩართულნი არიან განახლებად ენერჯისა და მის სარგებელზე ინფორმაციის გავრცელების საკითხში.

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი მოიცავს საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებს.

ყველა შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის განახლებადი ენერგეტიკული წყაროებისა და დამხმარე სქემების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჯარო უწყებების ვებ-გვერდებზე.

ამის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორთა მიერ დაფინანსებული სხვადასხვა ინიციატივები ეგწ-ზე ინფორმაციას აქვეყნებენ და საზოგადოებრივ ინფორმაციულ ღონისძიებებსაც ატარებენ.

რაც შეეხება გათბობა-გაგრილებისა და ელექტროენერჯიაში განახლებადი ენერჯის წყაროებისა და ტექნოლოგიების გამოყენების წმინდა სარგებელის, ხარჯებისა და ენერგოეფექტურობის შესახებ ინფორმაციას, მისი გამოქვეყნება ხდება აღჭურვილობის მწარმოებელისა და მომწოდებლის მიერ.

ამჟამად, დეველოპერები და არქიტექტორები მათთვის აუცილებელ ინფორმაციას იღებენ პროფესიული ასოციაციების, საკუთარი აქტიურობისა და სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობით.

უახლოესი წლების განმავლობაში იგეგმება რიგი დონორული პროგრამების განხორციელება. კერძოდ, ეფექტური შემოს ღუმელებისა და მზის წყალგამაცხელებლების დანერგვის წახალისება.

4.3.5 მემონტაჟეთა სერტიფიცირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 14 (3))

არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჩამონათვალი:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251 „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41 ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება N340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოში ჯერ არ არის იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი უწყება, რომელიც მცირე მასშტაბის ბიომასის ბიოლერების და ლუმელების, მზის ფოტოვოლტაიკისა და მზის თერმული სისტემების, არა ღრმა გეოთერმული სისტემებისა და თბური ტუმბოების მემონტაჟებისთვის დააწესებს სერტიფიცირების სისტემასა და საკვალიფიკაციო სქემას და გასცემს ამ დოკუმენტს. ქვეყანაში მოქმედებს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. აკრედიტაციის მომსახურება მოიცავს აკრედიტაციის გაცემასა და აკრედიტაციის კერძო ორგანოების ზედამხედველობას.

აკრედიტაციის ცენტრი მოქმედებს საერთაშორისო ISO/IEC 17011 სტანდარტსა და ევროპულ საუკეთესო პრაქტიკისთან სრულ შესაბამისობაში, რომელიც აღწერს აკრედიტაციის ორგანოს მოქმედების არეალსა და მუშაობის სპეციფიკას. არსებული მდგომარეობით, ეროვნულ აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციებს ISO/IEC17024 სტანდარტის თანახმად, პერსონალის სერტიფიცირების უფლებას კერძო უწყებებზე გასცემს.

საქართველოს კანონმდებლობით ჯერ არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნება მემონტაჟეთა სერტიფიცირებაზე ან სამონტაჟო სერტიფიკატების პროცედურების/სქემების რეგულირებაზე. გარდა ამისა, აკრედიტაციის ცენტრს ჯერ არ განუსაზღვრია ეგწ-ბის მემონტაჟეთა სერტიფიცირების უფლებამოსილი ორგანო. საქართველოს კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით არ განსაზღვრავს იმ სავარაუდო უწყებას, რომელიც ენერგოაუდიტორებისთვის ტექნიკური ნორმების შემუშავების სერტიფიცირებაზე იქნება უფლებამოსილი.

საქართველოს კანონმდებლობას შეუძლია, დაავალდებულოს აკრედიტაციის ცენტრი, გახდეს პასუხისმგებელი სერტიფიცირების/აკრედიტაციის სქემების შექმნაზე, შესაბამისი უწყებ(ებ)ის თანხმობის საფუძველზე (საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო). ამ აკრედიტაციის პროცესის შემუშავებისთვის რეკომენდირებულია საერთაშორისო სტანდარტების (ISO 17000 „შესაბამისობის შეფასება“ ან EN 45010

„სერტიფიცირების სისტემების შეფასების და აკრედიტაციის საერთო მოთხოვნები“) გათვალისწინება.

სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ავტორიზირებულ ოფიციალურ უწყებას, რომელიც ეროვნული სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიურ საქმიანობას ორგანიზებას უწევს და ამასთან, შესაბამის ნორმატიულ ტექნიკურ რეგულაციებზეც მუშაობს. სამინისტროს გადაწყვეტს, იქნება თუ არა აღნიშნული სააგენტო პასუხისმგებელი მემონტაჟეთა სერტიფიცირების ტექნიკური სტანდარტის შემუშავებაზე, თუ ეს აკრედიტაციის ცენტრს დაევალება.

უახლოეს პერიოდში შეიქმნება სისტემა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი კერძო კომპანიებს მემონტაჟეთა სერტიფიცირების უფლება გადასცემს.

4.3.6 ელექტროენერჯის ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (1) და მუხლი 16 (3)-დან (6)-ის ჩათვლით)

საქართველოს კანონი „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ელექტროენერჯის ქსელებთან მიმართებაში ზოგად დებულებებს ასახავს. კანონი განსაზღვრავს როგორც გადამცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტების ვალდებულებებს (გადამცემი სისტემის ოპერატორი), აგრეთვე განაწილების ლიცენზიანტის ვალდებულებებს, რაც უკავშირდება ელექტროენერჯის ქსელების გამოყენებასა და გაფართოებას. ელექტროენერჯის ქსელის ოპერირების, მიერთებისა და დაგეგმვის საკითხში ქსელის ოპერატორებსა და მომხმარებლებზე დაწესებული ტექნიკური მოთხოვნები მოცემულია საქართველოს ქსელის კოდექსში, რომელიც საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის N10 დადგენილებით არის დამტკიცებული.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის „საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ ერთ-ერთ მთავარ მიზანს ეგწ-ბის პოტენციალის გამოყენების მიზნით, საქართველოს ელექტროენერჯის ქსელის განვითარება და „მწვანე ენერჯით“ რეგიონალურ სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბება წარმოადგენს.

„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გადამცემი სისტემის ოპერატორმა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა უნდა შეიმუშაოს და შესაბამის უწყებას - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს.

საქართველოს ქსელის წესების თანახმად, გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში უნდა განისაზღვროს გადამცემი ქსელის ის წერტილები (კვანძები), სადაც ელექტროენერჯის ახალი სადგურების, ან სხვა მომხმარებლების ოპტიმალური მიერთება

განხორციელდება ისე, რომ არ დაირღვეს ელექტროენერჯის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო, ხოლო გადამცემი ქსელი განვითარდეს გამჭირვალე და არადისკრიმინაციული გზით. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ახალი ელექტროსადგურების სამშენებლო გეგმებზე დაყრდნობით გადამცემი ქსელის განვითარებას განიხილავს.

საქართველოს ქსელის წესების 96-ე მუხლის თანახმად, განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია ქსელის კვლევების პერიოდულ ჩატარებაზე, რითაც სხვა საკითხებთან ერთად, შეფასებული იქნება ახალი ელექტროსადგურების პოტენციული ზემოქმედება და გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული სხვა ელექტროსადგურებსა და დანადგარებსა თუ მოწყობილობებზე მათი გავლენა.

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მოსაზღვრე ქსელებთან კავშირების განვითარების შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტში წარმოდგენილი ტრანსსასაზღვრო პროექტები ეფუძნება მეზობელ ქვეყნებსა და გადამცემი სისტემის ოპერატორს შორის დადებულ შეთანხმებებს. საქართველოს ოთხივე მეზობელ ქვეყანასთან (თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი) ტრანს-სასაზღვრო ინფრასტრუქტურა გააჩნია. დღეისთვის მეზობელი ქვეყნებისთვის ელექტროენერჯის მიწოდება შემდეგი სახით ხორციელდება:

- აზერბაიჯანი – 1000 მეგავატი
- რუსეთი – 700 მეგავატი
- სომხეთი – 150 მეგავატი
- თურქეთი – 700 მეგავატი

ეს სიმძლავრეები საკმარისია ელექტროენერჯით მიმდინარე ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისთვის. თუმცა გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა მოიცავს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ქსელების გაძლიერებას, რაც გაზრდის მის საიმედოობას და, ამასთან, რეგიონალური ვაჭრობის მზარდ გამოწვევებს უპასუხებს.

ტრანს-სასაზღვრო პროექტების განხორციელების ვადები ნაკლებად არის დამოკიდებული ეროვნულ გენერაციაზე/მოთხოვნაზე, ის მიბმულა სპეციალურ ორმხრივ შეთანხმებებზე, რომლებიც ელექტროენერჯით ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობას უწყობს ხელს. შესაბამისი პროექტებია:

- 400 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი (ეგხ) ახალციხე-თორთუმი და 350 მგვტ-იანი მუდმივი დენის ჩანართით ახალციხის ქვესადგურზე;
- 500 კვ ეგხ ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკი და 500/110 კვ ქვესადგური სტეფანწმინდა;
- 500 კვ ეგხ მარნეული-აირუმი, მარნეულის ქვესადგურში 500კვ-იანი და 220კვ-იანი ხაზების დამაკავშირებელი კვანძით და არსებულ 500კვ ეგხ „ასურეთთან“ (მუხრანი) დაკავშირება;

- 154 კვ-იანი ეგზ ბათუმი-მურატლი და 350 მგვტ-იანი მაღალი ძაბვის მუდმივი დენის ჩანართით ქვესადგურ ბათუმში.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ მოიცავს ქსელთან დაჩქარებული მიერთების პროცედურებს. ქსელის წესში გაწერილია გადამცემ და გამანაწილებელ ქსელთან მიერთების პროცედურები, ვადა და მოსაკრებლები, ისევე როგორც მიერთების სქემები.

35 კვ-იანი და მეტი ძაბვის ელექტროენერჯის ხაზებისთვის დამტკიცების პროცედურა უკავშირდება გარემოზე ზემოქმედების შესწავლის პროცედურას, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონისა. პროექტის განმცხადებელი მხარე (ეგწ-ბის დეველოპერი ან ქსელის ოპერატორი) სამშენებლო ნებართვებისა და ავტორიზაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

დამკვეთი უფლებამოსილია, მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისაგან განსხვავებით, აირჩიოს ორსტადიანი ადმინისტრაციული წარმოება:

- 1) სამშენებლო მიზნებისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის პირობების დამტკიცება;
- 2) სამშენებლო ნებართვის გაცემა.

ელექტროგადამცემი ქსელის სამშენებლო ნებართვის მიღების ზოგადი და გამარტივებული პროცედურული ვადები წარმოდგენილია ცხრილში ქვემოთ.

ცხრილი 7: გადამცემი ქსელის პირველი ეტაპის მიერთების ვადები და მოსაკრებლები

ძაბვა კვ	პერიოდი (სამუშ. დღეები) პირველი ეტაპის მიერთების უზრუნველსაყოფად	პერიოდი (სამუშ. დღეები) გადამცემი ლიცენზიანტის მიერ მიერთების პირველი ეტაპის შესწავლა	პერიოდი (სამუშ. დღეები) გადამცემი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ მიერთების პირველი ეტაპის შესწავლა	პირველი ეტაპის მიერთების მოსაკრებელი (დღგ-ს ჩათვლით) ლ
6-10 და 35	35	15	15	2500
110	45	15	25	3000
220 და ზემოთ	65	15	45	4000

მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები ქვემოთ ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 8: მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები თუკი მიერთების უჯრედი გადამცემი ქსელის ლიცენზიანტის ქვესადგურთანაა მოწყობილი

ძაბვა კვ	მეორე ეტაპის მიერთების ვადა	მეორე ეტაპის მიერთების მოსაკრებელი ლარში (დღგ-ს ჩათვლით)
35 - როდესაც მიერთებულია ღია გადამცემ გამანაწილებელ მოწყობილობასთან	მიერთების შეთანხმებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად	218 000
35 - როდესაც მიერთებულია დახურულ გადამცემ გამანაწილებელ მოწყობილობასთან		300 000
110		560 000
220		819 000

ცხრილი 9: მეორე ეტაპის გადამცემი ქსელის მშენებლობის ვადები და მოსაკრებლები In-Out მიერთების სქემის შემთხვევაში

ძაბვა კვ	პერიოდი (სამუშ. დღეები) მეორე ეტაპის მიერთების უზრუნველსაყოფად	ერთჯაჭვა ეგხ-სთან მიერთების მოსაკრებელი 1 კილომეტრზე (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	ორჯაჭვა ეგხ-ს მიერთების მოსაკრებელი 1 კილომეტრზე (ლარი, დღგ-ს ჩათვლით)	ელექტროენერჯის გადამცემი საკაბელო ხაზის მიერთების მოსაკრებელი 1 კილომეტრზე (ლარი/დღგ)
35	მიერთების შეთანხმებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად	178 000	260 000	199 000
110		352 000	517 000	-
220		428 000	677 000	-

გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ ეტაპიანი პროცედურაა განსაზღვრული და მიერთების მოსაკრებლები არ არის დადგენილი.

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა და გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ქსელის განვითარების დაგეგმარებასა და ეგწ-ბის მშენებლობას შორის კოორდინირების საფუძველს ქმნის. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით განსაზღვრული ქსელის ინფრასტრუქტურის დროითი ჩარჩო და

მახასიათებლები თანხვედრაშია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ელექტროენერჯის სადგურების სიასა და მიმდინარე ეგწ-ების სამშენებლო პროცესებთან. გამანაწილებელი და გადამცემი ქსელების ოპერატორებსა და მათი განვითარების გეგმებს შორის თანამშრომლობა „ქსელის წესებით“ დადგენილ სპეციალურ დებულებებსა და პროცედურებშია გაწერილი. მსხვილი მომხმარებლებისა და მწარმოებლების გამანაწილებელ ქსელთან მიერთების ნებართვის გაცემის პროცედურა გადამცემი სისტემის ოპერატორთან გაფორმებული შეთანხმებით ხორციელდება. თუმცა, სამშენებლო ნებართვების გაცემის წესები ელექტროსისტემის ოპერატორებსა და სხვა სამშენებლო ნებართვების გამცემ ინსტიტუციებს შორის კონკრეტულ ურთიერთობებს არ განსაზღვრავს.

საქართველოს კანონი „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და ასევე საქართველოს ქსელის წესები განსაზღვრავს, რომ გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების ლიცენზიანტებმა ყველა სისტემის მომხმარებლისთვის და მესამე პირებისთვის, მათ შორის ეგწ-დან, ელექტროენერჯის მწარმოებლებისთვის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან თანაბარი მისაწვდომობა უნდა უზრუნველყონ.

უნდა აღინიშნოს, რომ გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა გარკვეულ შეზღუდვების მატარებელიცაა, მაგალითად, ქარის ენერჯიაზე მომუშავე სადგურების მიერთების პროცესს ართულებს ქსელის მდებარეობა და ამ კონკრეტული ენერჯის წყაროს არასტაბილურობის ფაქტორი. ამ სახის შეზღუდვების მოსახსნელად, გადამცემი სისტემის ოპერატორი გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში ელექტროენერჯის ქსელის გაძლიერებისთვის გამოყოფს კონკრეტულ ღონისძიებებს, როგორებიცაა: ოპერირების გაუმჯობესება და პროგნოზირების პროცედურები, მეზობელი ქვეყნების სისტემებთან ურთიერთკავშირების გაძლიერება. ამასთან, ხაზგასმულია დადგმული სიმძლავრის გაზრდა და არსებული გენერატორების ძაბვისა და სიხშირის ავტომატური რეგულირების მოწყობილობების აღდგენა.

საქართველოს ქსელის წესების შესახებ დოკუმენტში მოცემულია ქსელის ადაპტაციის ხარჯთა გაზიარებისა და ანაზღაურების წესები, რომელიც გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია.

ხარჯთა გაზიარებისა და ანაზღაურების პრინციპები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული გამანაწილებელ ქსელთან მიერთების შემთხვევაშიც. გამანაწილებელი ლიცენზიანტის ტექნიკური პირობების თანახმად, მიერთების მოსაკრებელი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება. მიერთების მაძიებელი ფარავს მიერთების წერტილის, გაფართოებისა და ზოგიერთ შემთხვევებში ქსელის გაძლიერების ყველა აუცილებელ დასაბუთებულ ხარჯებს. გამანაწილებელი ლიცენზიატი ვალდებულია, მიერთების მაძიებელს წინასწარ, ოფიციალურ განაცხადამდე, მიაწოდოს ქსელის ტექნიკური მდგომარეობისა და აუცილებელი ადაპტაციის მონაცემები.

გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან მიერთების ხარჯები იფარება სისტემის მომხმარებლების მიერ. საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ მესამე მხარეების ქსელთან მიერთების გარანტორია, თუმცა კანონი არ აზუსტებს, რა არის მიერთების საფასური ზედაპირული თუ ღრმა მიერთებისას, ხოლო ეგწ-თვის კონკრეტულ მიერთების დამხმარე სქემას არ ადგენს. ქსელის წესების მიხედვით, მიერთების რეჟიმი ძირითადად ისეთივეა, როგორც უახლოეს ქვესადგურთან მიერთებისას.

საქართველოს ქსელის წესების დოკუმენტში ქსელის განვითარების პროცედურების დაგეგმვა არის აღწერილი და გადამცემი ქსელის განვითარების პროცედურის მსგავსია. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ გაწეული საინვესტიციო ხარჯები განისაზღვრება განაწილების ტარიფებში, რაც უზრუნველყოფს აღდგენისა და გაძლიერების ხარჯებს. თუმცა, გადამცემ ქსელთან მიერთებისგან განსხვავებით, ქსელის წესები არ აწესებს მიერთების მოსაკრებლებს და ნათლად არ განსაზღვრავს გამანაწილებელი ქსელის გაძლიერების/ტექნიკური ადაპტაციების ხარჯთა ნაწილების პრინციპებს. ამ შემთხვევაში, დისტრიბუციის ლიცენზიატი უფრო მეტად მოქნილია და მისივე გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ტექნიკური პირობების მეშვეობით ადაპტაციის ღირებულებას უსაზღვრავს (მიერთების შეთავაზება).

გადამცემ და გამანაწილებელ სისტემებთან მიერთების არსებული რეგულაციები და პროცედურები არ უზრუნველყოფს მწარმოებლებს შორის ხარჯების განაწილებას. თითოეული ელექტროსადგური შესაბამისი მიერთების მოსაკრებლით ინდივიდუალურად განიხილება.

საქართველოს კანონში „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ მითითებულია კომისიის ვალდებულება, საქართველოს ქსელის წესების დამტკიცების შესახებ, რითაც რეგულირდება გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან მიერთება და მათი გამოყენება. გადამცემი ქსელის მიერთების წესები განსაზღვრავს ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მოთხოვნებს, მოთხოვნის განხილვის პროცედურულ გრაფიკსა და ხარჯებს (პირველი და მეორე სტადიის მიერთების მოსაკრებლები). გარდა ამისა, გადამცემი ქსელის მიერთების გრაფიკი და მოსაკრებლები ამ დებულებების მიერ მკაცრად არის განსაზღვრული და გადამცემი ქსელის ლიზენზიანტს არ აქვს უფლება, დადგენილ სტანდარტებს არ დაემორჩილოს.

მოქმედი რეგულაცია განსაზღვრავს ტექნიკურ სპეციფიკაციებს, მოთხოვნებს, განაცხადის განხილვის პროცედურებსა და გრაფიკს. გამანაწილებელი ქსელის დონეზე მოსაკრებლები გამოკვეთილად არ არის განსაზღვრული და მიერთების ხარჯები განიხილება ინდივიდუალურად, თითოეული საქმის მიხედვით, რასაც გამანაწილებელი ლიცენზიანტის მიერ გამოცემული ტექნიკური პირობები განსაზღვრავს (მიერთებისა შეთავაზება). თუმცა ქსელის წესების 77-ე მუხლის მე-13 პარაგრაფის თანახმად, გამანაწილებელი ლიცენზიანტი ვალდებულია, მიერთების მაძიებელს დაგეგმილი მიერთების ადგილის ტექნიკური პირობების შესახებ და მიერთებასთან დაკავშირებულ სავარაუდო ხარჯებზე ინფორმაცია მიაწოდოს.

საქართველოს ქსელის წესების დოკუმენტი ხელმიწავდომია საკანონმდებლო „მაცნესა“ (www.matsne.gov.ge) და შემდეგი უწყებების ვებ-გვერდებზე:

- საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია – www.gnerc.org
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (გადამცემი სისტემის ოპერატორი) – www.gse.com.ge
- სს „ენერგო პრო ჯორჯია“ – www.energo-pro.ge

სს „თელასის“ ვებ-გვერდზე შესაძლებელია ახალი მომხმარებლებითვის მიერთების პროცედურების წესების შესახებ ინფორმაციის ნახვა. თუმცა ეს ინფორმაცია ეყრდნობა კომისიის N20 დადგენილებას „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მოწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“. ამ ვებ-გვერდზე ქსელის წესებზე დაყრდნობით მიერთების ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

4.3.7 ელექტროენერჯეტიკული ქსელის ფუნქციონირება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (2), მუხლი 16 (7) და (8))

ეგწ-ბის გარანტირებული და პრიორიტეტული დისპეტჩერიზაციის დებულებები კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე აქტებში არ არის გაწერილი. „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი განსაზღვრავს გადამცემი სისტემის ოპერატორის ვალდებულებებს, რის საფუძველზეც გადამცემი სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია გადამცემი სისტემის სრულ ოპერირებაზე. ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის პრინციპები ეფუძნება მინიმუმი ღირებულებისა და უსაფრთხოების კრიტერიუმს, რომელიც ეგწ-ის გენერაციის კომპონენტს არ მოიცავს.

საქართველოს კანონმდებლობა ჯერ-ჯერობით არ ითვალისწინებს გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ ეგწ-ბის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის პრიორიტეტულ გადაცემას.

საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება ძირითადად ეფუძნება ეგწ-ბს და აქედან გამომდინარე, ბაზრის მოწყობა არ ითვალისწინებს პრიორიტეტული/გარანტირებული ქსელის მისაწვდომობას ან ეგწ-ბის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გაშვების პრიორიტეტულობას, ვინაიდან ეგწ-ბის მისაწვდომობა და წარმოებული ელექტროენერჯის გაშვება უკვე ხორციელდება.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გადაცემასთან და განაწილებასთან დაკავშირებული აქტივობები, მათ შორის ელექტრულ ქსელებთან მისაწვდომობა და მათი მართვა. კომისია სისტემის ოპერირებასთან, მიერთებასთან, ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, საინვესტიციო გეგმებთან დაკავშირებულ რეგულაციებს ამტკიცებს. ეს ორგანო ასევე პასუხისმგებელია ლიცენზიების გაცემასა და მათი აქტივობების შემდგომ კონტროლზე.

კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის პირობების კონტროლსა და გადამცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების ლიცენზიანტების მონიტორინგზე, რათა მიერთებაზე თანხმობის გაცემისთვის პირველადი და მეორადი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების, პირობების, პროცედურების, გრაფიკებისა და ფასების დაკმაყოფილება მოხდეს. ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებული სანქციებით.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ელექტროსადგურებს, მათი დადგმული სიმძლავრის გათვალისწინებით 3 ტიპად ყოფს:

- 100 კვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მიკრო ელექტროსადგურები
- 15 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მცირე ელექტროსადგურები
- 15 მგვტ-ის ზემოთ დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურები

პირველი და მეორე კატეგორიისთვის ოპერირების დასაწყებად ლიცენზია არ არის საჭირო. მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურები შესაძლებელია საცალო მომხმარებლის მოხმარების ადგილზე იქნას დამონტაჟებული. მათ მფლობელებს ევალებათ ბაზრის ოპერატორთან რეგისტრაციის გავლა, რითაც ხდება მათი კვალიფიცირებულ საწარმოდ გარდაქმნა - ბაზრის საბითუმო მონაწილის სტატუსით, რომელიც ვაჭრობას ან ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე ან ბაზრის ოპერატორის მეშვეობით ახორციელებს.

მესამე კატეგორიის ელექტროსადგურებისთვის კომისიის მიერ ლიცენზირება და ბაზრის ოპერატორის სტატუსით რეგისტრაცია აუცილებელია, ისინი გახდებიან საბითუმო ბაზრის მონაწილეები და შეძლებენ ელექტროენერჯის კომერციული წარმოების პროცესის დაწყებას.

სამივე კატეგორიის მონაწილეთა მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ინტეგრირება ელექტროენერჯის ბაზარზე ხდება. გასათვალისწინებელია, რომ მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურები არ არიან საბითუმო ბაზრის მონაწილეები და მათ მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერჯია გამანაწილებელი ლიცენზიანტის სავალდებულო შესყიდვის საგანს წარმოადგენს.

„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ თანახმად, ელექტროსადგურები არ იხდიან გადამცემი, დისპეტჩერიზაციისა და გამანაწილებელი მომსახურების ტარიფებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროსადგური მოიხმარს ელექტროენერჯიას გამომუშავების შეწყვეტის დროს.

უფრო მეტიც, მიკრო ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელი ლიცენზიანტისთვის ელექტროენერჯის მიწოდება არ განიხილება, ელექტროენერჯის წარმოების საქმიანობად. ის არ ექვემდებარება დისპეტჩერიზაციის კონტროლს და, აქედან გამომდინარე, გამანაწილებელ ლიცენზიანტს მიწოდებული ელექტროენერჯიის დისპეტჩერიზაციის მომსახურების მოსაკრებელი არ ეკისრება.

4.3.8 ბიოგაზის ინტეგრირება ბუნებრივი გაზის ქსელში (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა მუხლი 16 (7) და მუხლი 16 (9) და (10))

ბიოგაზის ბუნებრივი გაზის ქსელებში ინტეგრირების საკანონმდებლო ჩარჩო ჯერ-ჯერობით არ არის შემუშავებული.

4.3.9 ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის განვითარება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 16 (11))

ეგწ-ბის მომხმარებელი ახალი ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე და 2030 წლისთვის მათი კონტრიბუციის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის განხორციელება.

მსხვილი ბიომასის, მზისა და გეოთერმული ობიექტების ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემებში გამოყენების შესახებ კონკრეტული გეგმები ჯერ არ არის გამოკვეთილი, თუმცა საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში გეოთერმული დანადგარების გამოყენების მნიშვნელოვანი ტექნიკური პოტენციალი არსებობს.

4.3.10 ბიოსაწვავი და სხვა სახის ბიოსითხეები - მდგრადობის კრიტერიუმი და შესაბამისობის დამოწმება (ევროკომისიის 2009/28 დირექტივა, მუხლი 17-დან 21-ის ჩათვლით (11))

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დირექტივა N2003/30/EC „ტრანსპორტში ბიოსაწვავისა და განახლებადი სასწავის გამოყენების წახალისება“, რომელიც „განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ“ N2009/28/EC დირექტივის შემადგენელი ნაწილია, საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში 2019 წლის ბოლოს აისახა.

ეროვნულ დონეზე ბიოსაწვავებისთვის და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმის მისაღწევად აუცილებელია:

- საქართველოს ბიომასის გამოყენების სტრატეგია ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს;
- ბიზნესის მხარდამჭერი მიმდინარე პროგრამების ფარგლებში გარკვეული მოთხოვნების დაწესება იმ ბიზნესების სტიმულირებისთვის, რომლებიც მდგრადი ბიომასის ენერჯისა და ტექნოლოგიებს იყენებენ („აწარმოე საქართველოში“, „სტარტაპ საქართველო“ და სხვა პროგრამები, რომლებიც ინოვაციურ სიახლეებს აფინანსებენ);
- საქართველოში შემა მნიშვნელობით მეორე ენერგეტიკული რესურსია, რაც ენერგეტიკული სტრატეგიაში უნდა იქნას გათვალისწინებული;

- სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ მიერ შეშის ორგანიზებული დამზადებისა და მისი არალეგალური მოპოვების მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა, შეშის რესურსების მდგრადობისა უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმი იქნება;
- სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისა და ტყეებში შეშის დამზადების ნარჩენებისგან სათბობი ბიომასის წარმოების წახალისება;
- ტყეების მდგრადი გამოყენებისა და ტყეების შენარჩუნებისთვის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების მხარდაჭერა. ასეთი სახის პოლიტიკის დოკუმენტები საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მოსახლეობისთვის სატყეო რესურსების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამასა³⁰ და ახალ ტყის კოდექსს უნდა მოიცავდნენ.

დღეისთვის ბიოსაწვავი და ბიოსითხეები განახლებადი ენერჯის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შესასრულებლად არ მოიაზრება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მათი ჩართვა შესაბამის სტრატეგიულ მიზანში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი კონკრეტული ორგანოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგსა და დადასტურებას უზრუნველყოფს.

საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მიწის სამართლებრივ სტატუსს არაგულირებს. კანონის მიზანია მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე, ორგანიზებული მეურნეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა და აგრარული სტრუქტურის გამუჯობება; ასევე მიწის ნაკვეთების დაქუცმაცებისა და არარაციონალური გამოყენების თავიდან აცილება.

კანონი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გასხვისებისა და შეძენის წესებსა და სახელმწიფოს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

მესაკუთრეობის უფლებების, მიწის საკუთრების, ფიქსირებული ქონების გამოყენება და გადაცემა შემდეგი საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

³⁰<https://prezi.com/jv3tfu6f55z6/presentation/>

- საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“.

საქართველოში თითოეული დაცული ტერიტორიის შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას მოიცავს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. იგი ადგენს სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფ ბუნებრივ ტერიტორიებს.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეცვლა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად (და არა პირიქით). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მიწის სტატუსის შეცვლის პროცედურას, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ პირს, ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

საქართველოში არ მოქმედებს რეგულაცია ან პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა წარმატებულ სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვით პრაქტიკას. ქვეყანა გეგმავს მყარი ბიოსაწვავისთვის სტანდარტების მომზადებას. მანამდე, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ISO) და ევროპული სტანდარტები, ისევე როგორც ყოფილი საბჭოური და რუსული სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი („გოსტ“) მისაღებია.

საქართველო არ განიხილავს ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სქემის შემუშავებას ბიოსაწვავის ან ბიოსითხის მდგრადობისთვის.

4.4 კონკრეტული ღონისძიებები ბიომასისგან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისათვის

აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან (საბაზისო წელი) 2018 წლამდე მერქნული საწვავის - შემის მოხმარება დაახლოებით 2.5 მლნ მ³-დან 1.4 მლნ მ³-მდე, ანუ 42%-ით შემცირდა. მეორეს მხრივ, სახეზეა მყარი ბიომასის ნარჩენების საკმაოდ დიდი მოცულობა, რომელიც ამჟამად არ გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია მისი მყარი ბიოსაწვავის სახით (ბრიკეტები, პალეტები და ნაფორები) გამოყენება გათბობისათვის - განსაკუთრებით დედაქალაქს გარეთ. ეს მოიცავს სასოფლო-სამეურნეო (თეორიული პოტენციალი 7-8 პჯ ექვივალენტი წელიწადში) და სატყეო ნარჩენებს, ისევე როგორც ქალაქებში ხეების გადაბეღვის შედეგად მიღებული ნარჩენს, და სხვა არასაკმარისად გამოყენებულ წყაროებს. ეს წყაროები შესაძლებელია შეჯამდეს შემდეგი სახით:

ბიომასის ნარჩენები - თეორიული პოტენციალი შეადგენს 1 მლნ მ³-ს. სასოფლო-სამეურნეო მიწები დაახლოებით 3.02 მლნ ჰა-ს შეადგენს. დაახლოებით 0.8 მლნ ჰა სახნავი მიწაა და 0.33 მლნ

ჰა გამოიყენება მრავალწლოვანი კულტურებისთვის. სასოფლო-სამეურნეო მიწების დარჩენილ შემადგენლებს საძოვრები (1.8 მლნ ჰა) და მდელოები (0.14 ჰა) წარმოადგენს³¹.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - მუნიციპალიტეტის მონაცემების თანახმად, თბილისისა და ქუთაისის ნარჩენების შეგროვების ადგილებზე წელიწადში დაახლოებით 900 000 ტონა ნარჩენი გროვდება. ამ ნარჩენების გადამუშავებით 90 მლნ მ³ ბიოგაზის მიღებაა შესაძლებელი, რაც 64 მლნ მ³ ბუნებრივ გაზს უდრის. თბილისში მდებარე ნარჩენი წყლების გამწმენდი ნაგებობიდან (ემსახურება 1.2 მლნ ადამიანს), წელიწადში დაახლოებით 160 მლნ მ³ ბიოგაზის მიღებაა შესაძლებელი. მიღებული ბიოგაზის ენერჯია შეფასებულია 1 000 გვტ.სთ/წ , რაც 100 მლნ მ³ ბუნებრივ გაზის ტოლია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ბიოგაზის მთავარი წყაროების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 12.5 გვტ.სთ/წ მიღწევადი პოტენციალი განსაზღვრულია 3-4 გვტ.სთ/წ (ეს შეფასება არ მოიცავს ენერგეტიკული კულტურების მოყვანის პოტენციალის გამოყენებას). შედარებისთვის, საქართველოში მთლიანი წლიური ელექტროენერჯის გამომუშავება 8 000 გვტ.სთ-ს ფარგლებშია.

4.5 წევრ-სახელმწიფოთა შორის სტატისტიკური მონაცემების გადაცემის დაგეგმილი გამოყენება და სხვა წევრ-სახელმწიფოებთან ან მესამე ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში დაგეგმილი მონაწილეობა

მოცემულ მომენტში, საქართველოს არ აქვს დაგეგმილი „ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრ სახელმწიფოებთან სტატისტიკური მონაცემების გადაცემა და მათთან ან მესამე ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა. ამის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი ისაა, რომ ქვეყანას არ ესაზღვრება „ენერგეტიკული გაერთიანებისა“ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და შესაბამისად, არ არის პირდაპირ დაკავშირებული მათ ენერგეტიკულ ქსელსა თუ ბაზრებთან. ამჟამად საქართველო ელექტროენერჯის მიმოცვლას ახორციელებს მხოლოდ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და სომხეთი), რომელთაგან არცერთი მათგანი არ წარმოადგენს „ენერგეტიკული გაერთიანების“/ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს და ვერ ხერხდება მათ მიერ გადმოცემული ელექტროენერჯის წყაროს დადგენა (არის თუ წარმოებული განახლებადი ენერგეტიკული წყაროებიდან).

თუმცა, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, წყალქვეშა კაბელის მეშვეობით დაუკავშირდეს დასავლეთ შავიზღვისპირეთის ევროპულ ენერგოსისტემებს და ჭარბი განახლებადი ენერჯია ევროპის ბაზარს მიაწოდოს, რაც შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის განხორციელებითაა შესაძლებელი. შავი ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების წყალქვეშა კაბელით დაკავშირება გაზრდის კონკურენციას ორივე

³¹ მიმდინარე მიწათსარგებლობის პოლიტიკის საკითხები საქართველოში - ჯ.ებანოიძე, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია, თბილისი, საქართველო

დაკავშირებული რეგიონის ელექტროენერგეტიკულ ბაზრებზე, გაზრდის განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების პოტენციალს, აამაღლებს ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხს ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში და გაზრდის მათ შორის სატრანზიტო შესაძლებლობებს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გააჩნია მდიდარი განახლებადი ენერგორესურსები და ამავდროულად, ახორციელებს ეროვნული ენერგეტიკული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან და აყალიბებს ევროპული ტიპის თანამედროვე ორგანიზებულ ენერგეტიკულ ბაზარს, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტს განხორციელების რეალური პესპექტივა აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2 წელიწადში ერხელ აახლებს წინამდებარე სამოქმედო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს მას საქართველოს მთავრობას. შესაბამისად, სამინისტრო შეძლებისდაგვარად განახლებს ინფორმაციას სტატისტიკური მონაცემების გადაცემისა და სხვა ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის შესახებ, ასევე პროცედურული ასპექტების, განახლებადი ენერჯის შესაძლო ჭარბი წარმოებისა და ერთობლივი პროექტებისათვის სავარაუდო პოტენციალის თაობაზე 2030 წლისათვის.

4.5.1 პროცედურული ასპექტები

ჯერ არ არის შექმნილი

4.5.2 განახლებადი ენერჯის სავარაუდო ჭარბი წარმოება მაჩვენებელ ტრანექტორიასთან შედარებით, რომელიც შესაძლოა გადაეცეს სხვა წევრ-სახელმწიფოებს

ჯერ-ჯერობით არ არის რელევანტური

4.5.3 სავარაუდო პოტენციალი ერთობლივი პროექტებისთვის

ამჟამად არ არის განსაზღვრული

4.5.4 განახლებად ენერჯიებზე სავარაუდო მოთხოვნა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს შიდა წარმოების გარდა სხვა საშუალებით

ამჟამად არ არის განსაზღვრული

5. შეფასებები

5.1 განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების მოსალოდნელი მთლიანი წილი

საქართველოს ენერჯის სისტემის დადგმული სიმძლავრე დაახლოებით 4 246 მგვტ-ია, აქედან მარეგულირებადი ჰესების სიმძლავრეა 2 381 მგვტ, მოდინებაზე მომუშავე ჰესების სიმძლავრე 919 მგვტ, 110 მგვტ აირტურბინების, 21 მგვტ ქარის სადგურების, ხოლო კომბინირებული და თბოელექტროსადგურებისა - 815 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრის დაახლოებით 78% მოდის ჰესებზე. მარეგულირებადი ჰესების წილი შეადგენს დადგმული სიმძლავრის დაახლოებით 56%-ს.

2030 წლისთვის საქართველოს გენერაციის ჯამური სიმძლავრე გაიზრდება 9 740 მგვტ-მდე. აქედან 4 097 მგვტ იქნება მარეგულირებადი ჰესების სიმძლავრე, 2 438 მგვტ მოდინებაზე მომუშავე ჰესების, დაახლოებით 1 330 მგვტ ქარის სადგურების, 520 მგვტ მზის სადგურების, 110 მგვტ აირტურბინების. ჰესების წილი ჯამურ დადგმულ სიმძლავრეში 2030 წლისთვის იქნება 67%-მდე. აქედან მარეგულირებადი ჰესების წილი ქვეყნის ჯამურ სიმძლავრის 42%-ს შეადგენს. ეს უზრუნველყოფს წყალუხვობისას დაგროვებული წყლის გამოყენებას წყალმცირობის პერიოდებში, ელექტროენერჯისა და თბოსადგურებისთვის საჭირო საწვავის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას. აღსანიშნავია, რომ ქარის და მზის ელექტროსადგურების წილი, 2030 წლისთვის იქნება დაახლოებით 18%³².

ტრანსპორტის მიმართ თითოეული განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიის წვლილი და 2020 წლისთვის ელექტროენერჯის, გათბობა-გაგრილებისა და ტრანსპორტის სექტორებში დაგეგმილი მიზნების განსაზღვრა აუცილებელია ტექნოლოგიური მიზნისა და ვალდებულების გარეშე.

ცხრილი 10: საქართველოში განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიებიდან მიღებული წვლილის შეფასება (დადგმული სიმძლავრე, მთლიანი ელექტროენერჯის გამომუშავება) 2020 წლის დასახული მიზნების მისაღწევად და ელექტროენერჯის სისტემაში განახლებადი ენერჯიდან წილის მაჩვენებლის შუალედური ტრანსპორტი 2018-2020 წ.წ.

	2014		2018		2019		2020	
	მგვტ	გვტ.სთ	მგვტ	გვტ.სთ	მგვტ	გვტ.სთ	მგვტ	გვტ.სთ
ჰიდრო	2 807.6	8 221.1	3 244.3	8 234.0	3 345.8	8 707.4	3 410.2	9 019.6
< 1 მგვტ	5.6	15.3	6.3	16.8	6.5	17.8	6.6	18.2
1 მგ - 10 მგვტ	122.5	346.1	153.9	501.9	160.2	537.4	197.6	709.9
> 10 მგვტ	2 679.5	7 859.7	3 084.1	7 715.3	3 179.1	8 152.3	3 206.1	8 291.5
მათ შორის მაკუმულირებადი	-	-	-	-	-	-	-	-
გეოთერმული	-	-	-	-	-	-	-	-

³² საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2020-2030

მზის:	-	-	1.5	2.4	4.7	7.5	14.7	23.7
ვოტოვოლტაიკი	-	1.5	2.4	4.7	7.5	14.7	23.7	23.7
კონცენტრირებული მზის ენერჯია	-	-	-	-	-	-	-	-
მოქცევა, ტალღა, ოკეანე	-	-	-	-	-	-	-	-
ქარი:	-	-	20.7	88.0	45.7	167.2	79.8	301.8
ხმელეთზე	-	-	20.7	88.0	45.7	167.2	79.8	301.8
ზღვაზე	-	-	-	-	-	-	-	-
ბიომასა:	-	-	-	-	-	-	-	-
მყარი	-	-	-	-	-	-	-	-
ბიოგაზი	-	-	-	-	-	-	-	-
ბიოსითხეები (1)	-	-	-	-	-	-	-	-
ჯამი:	2 807.6	8 221.1	3 266.5	8 324.3	3 396.2	8 882.1	3 504.7	9 345.2
საიდანაც კომბინირებული გათბობა/ელექტროენერჯია :	-	-	-	-	-	-	-	-

5.2 ენერგოეფექტურობისა და ენერჯიის დამზოგველი ღონისძიებების მოსალოდნელი მთლიანი წილი

საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საქართველოს ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) 2019-2020, რომელიც შემუშავებულია ენერგეფექტურობის შესახებ ევროკავშირის N2012/27/EU დირექტივის (EED) მოთხოვნების შესაბამისად.

დოკუმენტში ასახულია პირველადი ენერჯიის წყაროს მოხმარების დაზოგვის მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად გასატარებელი საინვესტიციო და პოლიტიკის ღონისძიებები.

ეესგ-ს გამოთვლების მიხედვით, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით შესაძლებელია ენერჯიის დაზოგვამ 2025 წელს შეადგინოს 13% პირველადი ენერჯიის წყაროში და 9% ენერჯიის საბოლოო მოხმარებაში; 2030 წელს კი - 14% პირველადი ენერჯიის წყაროში და 11% ენერჯიის საბოლოო მოხმარებაში, BAU-ს სცენარის პროგნოზებთან შედარებით.

ხსენებული ღონისძიებები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ჰორიზონტალური ღონისძიებები;
- ენერგოეფექტური ღონისძიებები შენობებში;
- ენერგოეფექტური ღონისძიებები საჯარო დაწესებულებებში;
- ენერგოეფექტური ღონისძიებები მრეწველობაში;
- ენერგოეფექტური ღონისძიებები ტრანსპორტის სექტორში;
- გათბობისა და გაგრილების ენერგოეფექტური სისტემების დანერგვის ხელშეწყობა;

- ენერჯის გარდაქმნის, გადაცემის, განაწილებისა და მოთხოვნის რეგულირება.

ჰორიზონტალური ღონისძიებები

ენერგოეფექტურობის დირექტივის მე-7 მუხლი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, დააწესონ ენერგოეფექტურობის ვალდებულების (EEOS) სქემა, ან მიაღწიონ ენერჯის დაზოგვის იგივე მოცულობებს ალტერნატიული ღონისძიებების საშუალებით. ენერგოეფექტურობის ვალდებულების სქემა ენერჯის გამანაწილებელ კომპანიებს ავალდებულებს საბოლოო მომხმარებელთათვის მიწოდებული ენერჯის სულ მცირე 1.5%-ის დაზოგვას.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობამ, კონსულტაციების შედეგად, გადაწყვიტა ალტერნატიული პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელება, რომლის მისაღწევად საჭირო იქნება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში კაპიტალდაბანდებისა და რიგი ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.

- ეესგ-ში მოცემულია შემდეგი ალტერნატიული ღონისძიებები:
- ენერგოეფექტურობის დაფინანსების სქემების შექმნა;
 - ენერგოეფექტურობის სტიმულირება/ხელშეწყობა მრეწველობაში;
 - საგანამანათლებლო (ტრენინგები) და საკონსულტაციო (ენერგეტიკული მიმართულებით) პროგრამების ჩატარება;
 - სტანდარტების, ნორმებისა და ენერჯო ეტიკეტირების სქემების შემუშავება;

ენერგოეფექტური ღონისძიებები შენობებში

საინვესტიციო და პოლიტიკის ღონისძიებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ასევე უკავშირდება შენობებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო სექტორის ღონისძიებები ხშირად დაკავშირებულია შენობების ენერგოეფექტურობასთან და კერძო საკუთრებაში არსებულ შენობებში ინვესტიციების განხორციელებას განაპირობებს პოლიტიკა, რომელიც თავისთავად მჭიდროდ არის დაკავშირებული საჯარო სექტორთან.

ეესგ-ს თანახმად, მომდევნო სამი წლის განმავლობაში სამშენებლო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით ერთიანი სტრატეგიის დასამუშავებლად უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1. საკანონმდებლო ბაზის მიღება და ევროპულ დირექტივებთან ჰარმონიზაცია;
2. სამაგალითო შენობების ტიპების განსაზღვრა;
3. შენობის ინვენტარიზაციის სისტემის ჩამოყალიბება. ენერგოეფექტურობის ეროვნული საინფორმაციო სისტემის შემუშავება საჯარო შენობებისთვის;

4. ენერგოაუდიტისა და შენობების ინვენტარიზაციის ჩატარება სხვადასხვა ქვე-სექტორებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, უპირატესად „მერების შეთანხმების“ ხელმძღვანელ მუნიციპალიტეტებში.

ენერგოეფექტური ღონისძიებები სახელმწიფო საჯარო დაწესებულებებში

ეესგ მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრალური მთავრობის საკუთრებაში არსებულ შენობებთან:

- საჯარო შენობებისთვის ენერგოეფექტური ეროვნული საინფორმაციო სისტემის შემუშავება/ენერჯის მოხმარებისა და ენერჯის დაზოგვის პოტენციალის შეფასება;
- საპილოტე პროექტის განხორციელება;
- ენერგოეფექტური განათების სისტემების დანერგვა ყველა საჯარო შენობაში, რადგან ნათურების შეცვლა აუცილებელი გახდება;
- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება საჯარო შენობებში.

საჯარო სექტორისთვის ეესგ-ში აღწერილი კიდეც ერთი ღონისძიება ეხება ქუჩის განათების/გარე განათების გაუმჯობესებას. მისი იმპლემენტაცია იგეგმება თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, გორში, თელავსა და სხვა ქალაქებში. რიგ მუნიციპალიტეტებში ღონისძიება უკვე განხორციელების ეტაპზეა და იგეგმება მისი მასშტაბის გაზრდა. ამას გარდა, განათების სისტემის გაუმჯობესდება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გზებზე.

ენერგოეფექტური ღონისძიებები მრეწველობაში

საქართველოს მრეწველობის სექტორმა 2014 წელს ენერგეტიკული და არაენერგეტიკული მიზნებით მოიხმარა 10.5 ტვტ.სთ, ანუ ქვეყნის ენერგომოხმარების 22%. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამუშავებული MARKAL-ის მოდელი აჩვენებს 2016-2030 წლებში მოხმარების წელიწადში 4.94%-ით ზრდის შესაძლებლობას, რაც შეესაბამება 2016 წლიდან 2030 წლამდე პროდუქციის გაორმაგებას.

მრეწველობის სექტორში შეიძლება გატარდეს ენერგოეფექტიანობის შემდეგი ღონისძიებები:

- ენერგოეფექტურობის ინვესტიციების სტიმულირება;
- სატრენინგო, საგანმანათლებლო და ენერგოსაკონსულტაციო პროგრამების ჩატარება პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ასამაღლებლად;
- კვალიფიკაციის, აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სქემების დანერგვა;
- ენერგოაუდიტის, მენეჯმენტის სისტემებისა და ბოილერების ინსპექტირების დანერგვა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს: მრეწველობაში წარმოებისა და ენერგომოხმარების სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესებას, ტექნიკური დახმარების პროგრამების განხორციელებას;

ენერგოეფექტური ღონისძიებები ტრანსპორტის სექტორში

2014 წელს მთლიანი ენერგომომხარების 33% ტრანსპორტის სექტორზე მოდიოდა რისი ძირითადი ნაწილიც (91.8%-ს ან 14 175 გვტ.სთ) იმპორტირებული ნავთობპროდუქტები (დიზელი და ბენზინი) ან ბუნებრივი გაზია. ეს ხაზს უსვამს ამ სექტორში ენერგოეფექტიანობის მნიშვნელობას. შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საწვავის ჩანაცვლება ბუნებრივი გაზით (ან ელექტროენერგიით) და არსებული პარკის უკეთესი მართვა, ტექნიკური ინსპექტირების ჩათვლით, რაც დაიწყო 2018 და მომავალშიც გაგრძელდება;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები - ეკო-მართვა, ეფექტიანი სატრანსპორტო რეჟიმების ხელშეწყობა;
- ინვესტიციები შიდა-საქალაქო მოძილობაში - მგზავრთა ნაკადების გადანაცვლება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ფეხით და ველოსიპედებით სიარულზე. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით მოძრაობის ეფექტურობის გაზრდა.

გათბობისა და გაგრილების ენერგოეფექტური სისტემების დანერგვის ხელშეწყობა

ენერგოეფექტურობის დირექტივის თანახმად, გათბობისა და გაგრილების სექტორში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის აუცილებელია მსხვილი (>20 მგვტ) კოგენერაციული ობიექტების ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება. მოცემული ღონისძიება ხელახლა იქნება განხილული მომავალ ეესგ-ში.

ენერჯის გარდაქმნის, გადაცემის, განაწილებისა და მოთხოვნის რეგულირება

- ამ ქვესექტორის განვითარება მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:
- ფართომასშტაბიანი ინვესტირება;
 - არსებული ენერგეტიკული პოლიტიკა და დაგეგმილი (სამომავლო) პოლიტიკა, რომლის მიზანია სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
 - სასისტემო რეჟიმების ოპტიმიზაცია პირველადი ენერჯის წყაროს მოხმარებისა და ფინანსური ხარჯების შესამცირებლად;
 - ტექნიკური დახმარების პროგრამა შემდეგი მიმართულებებით: ჰიდროელექტროსადგურებისა და სადისპეტჩერო სისტემების განვითარება, გამანაწილებელი სისტემების გაუმჯობესება, საყოფაცხოვრებო სექტორში მზის წყალგამაცხელებლებისა და ბიომასაზე მომუშავე ეფექტური ღუმელების დანერგვა.

5.3 განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენს ამ სამოქმედო გეგმის მომზადებაზე, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებასა და

განხორციელებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ უწყებას. აღნიშნულ გეგმას სამინისტრო 2 წელიწადში ერთხელ აახლებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა შემუშავდა ენერგეტიკის დარგის ექსპერტებთან თანამშრომლობით, რომლებიც მათი ექსპერტული გამოცდილების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფში იყვნენ ჩართულები.

ამჟამად არ არსებობს მონიტორინგის სისტემა, რომელიც ინდივიდუალური გაზომვის ინდიკატორებსა და ინსტრუმენტებს მოიცავს განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის თვალსაზრისით.

